ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ორშაბათი, 9 ოქტომბერი, 2017 №239 (7473) ფასი: 50 თეთრი

ვახტანგ მაისაია: „სერბეთის დელეგაციის სოხუმში ჩასვლა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება“

გვ.3

5 ოქტომბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ვინ უნდა ივანიშვილს პრეზიდენტად ღარიბაშვილი თუ უსუფაშვილი



„დალაგებულ ქვეყანაში უსუფაშვილი კარგი პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ საქართველოში მას პრეზიდენტად არ აირჩევენ. ამისთვის ქარიზმაა საჭირო, რაც მას არ აქვს. ის თავის პარტიასთან ერთად „ოცნებას“ დააბალანსებს და თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკურ პარტიას ჩაძირავს“

გვ.4

ირაკლი სესიაშვილი ისევ სკანდალში გაეხვია — მისი მეუღლე ბიზნესს რუსეთის მოქალაქეებთან ერთად აწარმოებს

გვ.4

შპს „ტერმინალ ლაბ ბერსა“ 2015 წლის 7 აპრილს შეიქმნა. კომპანიის კაპიტალის 60%-ის მფლობელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ალი მარაევი იყო

გვ.2

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ლიდერად კვლავ ივანიშვილი რჩება“

სამართალი

გვ.7

თელავში „ევროპული საქართველოს“ ოფისს თავს დაესხნენ

წალკაში პოლიციელმა „საქართველოს ბანკი“ გაძარცვა



ინგა შონია: „ჩემი შვილი, გიორგი ზღუდაძე, პოლიციამ ცემა“

ჩხვირკია და ღოღობერიძე პატიმრობაში რჩებიან

ეკონომიკა

გვ.6

რეგიონული განვითარების მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, ერთ წელიწადში 750.000 ლარის ქონება შეიძინა

ბესიკ კალანდაძესა და კიდევ 4 პირს ქონებას იძულებით ჩამოართმევენ

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მცირე და საშუალო ბიზნესი ხელში გვაკვდება“

საწვავის იმპორტი შემცირდა

ISSN 1987-9385

5 ექსპერტები კავკასიაში გეოპოლიტიკურ ცვლილებებს პროგნოზირებენ

3 „თარხან ბათირაშვილი არა 2016 წელს, არამედ რამდენიმე დღის წინ იქნა ლიკვიდირებული“

10 ბერლუსკონიმ პუტინს დაბადების დღეზე საბნის პირი აჩუქა

3 სერტიფიცირებულ ექიმებს, შესაძლოა, ხელახალი სერტიფიცირების გავლა მოუწიოთ

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ლიდერად კვლავ ივანიშვილი რჩება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი კვირიკაშვილი კენჭს იყრის, თუმცა პრემიერმა ეს ინფორმაცია უარყო. რამ განაპირობა მსგავსი ინფორმაციის გავრცელება, შეიძლება, მართლაც ასე განვითარდეს მოვლენები?

– კვირიკაშვილის სკამი ოთხ ფეხზე მყარად არ დგას. ძლიერი თანამდებობის პირი, გნებავთ, მინისტრიც კი არასდროს დაუშვებს, რომ ჭორები გავრცელდეს მის თანამდებობრივ დაქვეითებაზე. დღეს საპარლამენტო რესპუბლიკის კონტექსტში კვირიკაშვილი პირველი პირია. დღეს მოქმედი პრეზიდენტი ძალიან აქტიურია. ის რეალური, მორალური ბერკეტის მქონე პოლიტიკოსია, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, სისტემატურად რთულ მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიას. რა იქნება მომავალი პრეზიდენტი, თუ, რასაკვირველია, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს? ეს იქნება მშვიდი ცხოვრებისთვის მიჩენილი, საპენსიო ასაკისთვის განკუთვნილი ადგილი.

ეს ასეა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკაში, სადაც ყველა პრეზიდენტი ასაკოვანია. პრეზიდენტს არც კი იცნობენ, ისინი ნელა ქრებიან ტელეეკრანებიდან, ახალი ამბებიდან, მათი პორტრეტები აღარ იბეჭდება გაზეთებში, ჟურნალისტებს ინტერესი აქვთ დაკარგული, მათი თვითმფრინავი მუდამ ასაფრენ ბილიკზე აღარ დგას, სიცოცხლით სავსე ცხოვრებას ემშვიდობებიან, ერთი სიტყვით, პოლიტიკური კარიერის უკანასკნელ წლებს ატარებენ.

– შეიძლება ჩვენთან ბევრს არც კი აქვს ეს გაცნობიერებული.

– დიახ და ეს ბევრ პრობლემასაც წარმოქმნის. ახალგაზრდა პოლიტიკოსისთვის ეს ძალიან რთულად ასატანია ფსიქოლოგიურად. შეიძლება ცოტა პიკანტური შედარება იყოს, მაგრამ, როდესაც მერილინ მონრომ თავი მოიკლა, ამერიკაში წერდნენ, რომ ბოლო პერიოდი დღეში მხოლოდ ათასი წერილი მისდიოდა თაყვანისმცემლებისგან, როდესაც დღეში 15-20 ათასი წერილის ადრესატი იყო. პოლიტიკოსიც არანაკლებად განიცდის ხალხისგან მივიწყებას.

– ვინ იქნება „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი?

– დასახელდა კვირიკაშვილი. დიდი ხანია ვიცით, რომ სათადარიგო სკამზე მყოფი ირაკლი ღარიბაშვილიც სახელდება.

– ღარიბაშვილის სათადარიგოობაზე ივანიშვილმა გააკეთა თავის დროზე განცხადება.

– დიახ, ეს კარგად ახსოვს ხალხს. თუმცა, რადგანაც ჩვენ ექსპრომტების ქვეყანაში ვცხოვრობთ, არაფერია გამორიცხული.

– რას გულისხმობთ?

– რომ ახალი კანდიდატები გამოჩნდნენ მმართველი პარტიიდან. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ მოქმედ პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ ის არ იყრის კენჭს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა იყაროს კენჭი. დიდი ალბათობით, „ოცნების“ კანდიდატს გაუჭირდება მისი დამარცხება. თუმცა იქ, სადაც ნარმანიაა დედაქალაქის მერი, რატომ არ შეიძლება, პრეზიდენტი იყოს ღარიბაშვილი? თუმცა ღარიბაშვილი ამ შეთავაზებას 99%-ით არ დათანხმდება.

– თუ კვირიკაშვილი პრემიერის თანამდებობას დაემშვიდობება ან მართლაც გახდება კანდიდატი, ვინ შეიძლება, მის ადგილზე ვიხილოთ?

– კვირიკაშვილის შემდეგ პრემიერი კალაძე იქნება. მას პრემიერის პოსტზე ალტერნატივა არ ეყოლება. ამას დაზუსტებით გეუბნებით. ყველა პოლიტტექნოლოგიური სურათი ამაზე მიუთითებს. სხვა არავინ ჩანს. „ქართული ოცნების“ ტრაგედია თავიდანვე ის იყო, რომ მათ სათადარიგოთა სკამზე არ იფიქრეს.

– მოკლეა სათადარიგოთა სკამი?

– მე ვიტყოდი, საერთოდ არ არის. ყველა ძირითადი მოთამაშეა. არადა, როდესაც შესაცვლელი მოთამაშე არ გყავს, ეს ძალიან სახიფათოა. თავის დროზე ეს სააკაშვილის ტრაგედიად იქცა.

– „ქართული ოცნების“ გუნდში ლიდერები არ არიან?

– სამწუხაროდ, არა. ამაზე თავის დროზე არ იზრუნეს. კარგად გვახსოვს, როგორ მოვიდა ივანიშვილი და როგორ მოიყვანა ეს გუნდი, მაგრამ იმის შემდეგ არცთუ ცოტა დრომ გაიარა. ამასობაში შეიძლებოდა, რამდენიმე ლიდერიც კი ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიდერები ვერ გახდნენ.

– რატომ, რა იყო მიზეზი?

– ვერ გეტყვით, რა იყო ამის მიზეზი, შეიძლება ის, რომ მაინც ივანიშვილის ჩრდილქვეშ ეს რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ დამოუკიდებელი ფიგურა, რომელსაც შეუძლია, ლოკომოტივის ფუნქცია იტვირთოს, დღეს „ქართული ოცნების“ გუნდში არავინ არის, გარდა თავად ბიძინა ივანიშვილისა. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილსაც მობეზრდა თავისი რჩეულის თრევა, ბოლოს და ბოლოს, როდემდე?! პატარა ბავშვი შეიძლება საბავშვო ბაღში მიიყვანო ხელჩაკიდებული, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ასე ატარო მთელი ცხოვრება სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, მერე სამსახურში. ეს როლი მოგბეზრდება.

– „ქართული ოცნების“ ლიდერი დღეს ისევ ივანიშვილია?

– რა თქმა უნდა. ის კვლავ რჩება მორალურ ავტორიტეტად.

„სამართლიანი არჩევნები“ მმართველ გუნდს პრეზიდენტთან კომპრომისზე წასვლას ურჩევს

არასამთავრობო ორგანიზაციამ, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, მმართველ გუნდს მოუწოდა, წავიდეს კომპრომისზე და გაიზიაროს პრეზიდენტის შეთავაზება 4 საკონსტიტუციო საკითხზე. ამაში ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ასევე იზიარებენ არასამთავრობო ორგანიზაციები: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“; „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“; „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“; „ადამიანის უფლებათა ცენტრი“; „ლიბერალური აკადემია“; „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“; „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“.

– საქართველოს პრეზიდენტმა მმართველ გუნდს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით 4 საკითხზე შეთანხმება შესთავაზა, რაც გულისხმობს ბონუს მანდატების გაუქმებას, ბლოკების დაშვებას, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წელს გადასვლასა და პრეზიდენტის არჩევას პარლამენტის მიერ, მას შემდეგ რაც ის ორპალატიანი გახდება.

მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის აღნიშნული შეთავაზება არის გონივრული კომპრომისი და საკონსტიტუციო რეფორმის გარშემო ბოლო თვეებში არსებული ჩიხური ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობას იძლევა. შემოთავაზებული საკითხები, ძირითადად, კონცენტრირებულია საარჩევნო სისტემის გარშემო, რაც ემთხვევა არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას პოლიტიკური სპექტრის ძალისხმევა მიმართული ყოფილიყო საკონსტიტუციო რეფორმის საკვანძო საკითხზე – საარჩევნო სისტემის რეფორმაზე შეთანხმებისკენ. ამ კუთხით, პრეზიდენტის შეთავაზება მისასალმებელია და, მმართველი გუნდის მხრიდან ადეკვატური საპასუხო ნაბიჯების შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებების გარშემო კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, ყურადღებით განიხილოს პრეზიდენტის შეთავაზება და მაქსიმალური ძალისხმევა და პოლიტიკური ნება გამოავლინოს შეთანხმების მისაღწევად, რაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციას წარმოადგენს და უკიდურესად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებისთვის, – წერია განცხადებაში.

მედიანიუსი

გიორგი კვირიკაშვილი: „კონსტიტუციაზე მომუშავე გუნდმა ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც ვენეციის კომისიის მიერ მოთხოვნილი არ ყოფილა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მიღებული კონსტიტუცია არის უდიდესი შრომის შედეგი. მისი თქმით, საპარლამენტო გუნდმა დიდი სამუშაო ჩაატარა, რომ კონსტიტუცია ყოფილიყო ისეთი, როგორადაც არის მიღებული.

მისივე თქმით, კონსტიტუციაზე მომუშავე გუნდმა მუშაობის დასრულების შემდეგ ბევრი შენიშვნა გაითვალისწინა, მათ შორის გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ვენეციის კომისიის მიერ არ იყო მოთხოვნილი.

– მე ობიექტურად მინდა ვთქვა, რომ კონსტიტუცია რომელიც ჩვენ მივიღეთ, გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, ძალიან დიდი შრომის შედეგი. საპარლამენტო გუნდმა, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, მართლაც და ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა იმისათვის, რომ კონსტიტუცია ყოფილიყო ისეთი, როგორადაც არის მიღებული.

მთლიანი ეს სამუშაო იყო ერთი დიდი ჩართულობის მაგალითი და ძალიან ბევრი შემხვედრი ნაბიჯი გადაიდგა მმართველი პარტიის მხრიდან კომისიის მუშაობის განმავლობაში. შემდგომაც, კომისიის მუშაობის დასრულების შემდგომ, არაერთი შენიშვნა იქნა გათვალისწინებული. ის ბოლო სამი ნაბიჯი, რომელიც არ არის მოთხოვნილი, ხაზს ვუსვამ, ვენეციის კომისიის მხრიდან, მაგრამ ჩვენ ვდგამთ – არის 2020 წლის არჩევნებზე 3%-მდე ბარიერის დაწევა, ეს არის პარტიული ბლოკების კიდევ ერთხელ დაშვება ერთი რაუნდით და ეს არის კიდევ ის საკითხი, რომელიც ეხება ბონუსის სისტემაზე მთლიანად უარის თქმას. ეს არის კიდევ ერთი გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ნუ ვიწინასწარმეტყველებთ იქნება ვეტო-არ იქნება ვეტო. ჩვენ ძალიან დიდი სამუშაო ჩავატარეთ, – განმარტა პრემიერმა.

მედიანიუსი

თეა წულუკიანი: „ვენეციის კომისიამ შავით თეთრზე დაწერა, რომ ეს საკონსტიტუციო პროექტი პროგრესულია“

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს ვეტოს დაადებს, პარლამენტი მას გადალახავს.

წულუკიანმა მიმართა პოლიტიკურ პარტიებს, შეეგუონ ვენეციის კომისიის დადებით შეფასებას საკონსტიტუციო კანონპროექტზე.

– როგორიც უნდა იყოს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ პარტიის პოლიტიკური პოზიცია, რეალობა არის ჯიუტი. რეალობა არის შემდეგი, რომ ვენეციის კომისიამ შავით თეთრზე დაწერა, რომ კონსტიტუციის ეს პროექტი არის პროგრესული, არის დადებითი და საბოლოოდ ასრულებს იმ ხარვეზიანი ტექსტის არსებობას ჩვენს რეალობაში, რომელსაც 2010 წელს მიღებული კონსტიტუცია ერქვა წინა ხელისუფლების დროს. ეს კონსტიტუცია იყო მრავალი ხარვეზით სავსე და ქმნიდა საშუალებას, რომ ხელისუფლების შტოებს მთავრობასა და პრეზიდენტს, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის შექმნილიყო სხვადასხვა ტიპის გაუგებრობები კომპეტენციების განაწილების მხრივ.

ეს არის აღმოფხვრილი, იქმნება დაბალანსებული საკონსტიტუციო-საპარლამენტო მოდელი და, როგორც ვენეციის კომისიაც ამბობს, იქმნება ჯანსაღი კონსტიტუციური წესრიგი ჩვენს ქვეყანაში.

ვინც უნდა იყოს პოლიტიკოსი, მმართველი პარტიიდან თუ ოპოზიციიდან, ამ რეალობას ვერ გაექცევა, რეალობა არის ის, რაც შავით თეთრზე წერია ვენეციის კომისიის დასკვნაში და ეს არის დადებითი.

რაც შეეხება ვეტოს, თუ პრეზიდენტის დაადებს ვეტოს და, როგორც ჩანს, ასეც მოიქცევა, ამაში მე ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, როგორც დაიდება ვეტო, ისე გადაილახება, – თქვა წულუკიანმა.

❖ ❖ ❖

შეგახსენებთ, 6 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებებზე საბოლოო დასკვნა დაამტკიცა. აღნიშნულ დოკუმენტში ძირითადად უცვლელია ის შეფასებები, რომლებიც ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაში იყო მოცემული.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვახტანგ მაისაია: „სერბეთის დელეგაციის სოხუმში ჩასვლა არანაირ ლოგიკაში არ ჯდება“

გულიკო ბალაძე

გასულ კვირას სოხუმს სერბეთისა და სირიის რესპუბლიკების წარმომადგენლები სტუმრობდნენ. როგორ მუშაობს რუსეთის პოლიტიკა მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების შესახებ და საქართველოს პოლიტიკა არაღიარების თაობაზე? – ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრობს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია.

– ბატონო ვახტანგ, რამდენიმე დღის წინ სოხუმში იმყოფებოდნენ სირიისა და სერბეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები. სირიის ხელისუფლების ქმედებები გასაგებია, მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. საინტერესოა, სერბეთის ხელისუფლება რატომ დათანხმდა აფხაზეთის სეპარატისტულ ჯგუფთან კონტაქტს?

– შეიძლება სოხუმში სერბეთის საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელი ჩავიდა. არა მგონია, სერბეთის მთავრობის წარმომადგენელი ჩასულიყო ჩვენს სეპარატისტულ რეგიონში. სერბეთში დღეს არის ისეთი სიტუაცია, როგორიცაა მოლდოვაში. სერბეთის მთავრობას აკონტროლებს პროდასავლური წარმომადგენლობა. სერბეთის პრეზიდენტი კი ანტიდასავლური სენტიმენტებით გამსჭვალული პიროვნებაა.

– რა დონის გავლენა აქვს რუსეთს სერბეთის ხელისუფლებაზე?

– რუსეთს სერბეთზე გავლენა, გარკვეულწილად, აქვს. ნატოსთან დაკავშირებით სერბეთში განსხვავებული სიტუაციაა. ევროკავშირის მიმართულებით უფრო არის სიმპათიები.

– ნაციონალისტური მიმართულების ხელისუფლების წარმომადგენლებს რაში აძლევთ ხელს სეპარატისტულ ჯგუფთან კავშირები? მით უმეტეს, რომ სერბეთს კოსოვოს პრობლემა აქვს. რუსეთის გავლენები იმდენად დიდია, რომ დამოუკიდებლად ვერ მოქმედებენ?

– რუსეთი ბალკანეთის მიმართულებითაც გააქტიურდა. რუსეთი აპირებდა მონტენეგროში გადატრიალების მოწყობას და პროდასავლური პრემიერ– მინისტრის გადაყენებას, მონტენეგროს ნატოში გაწევრიანებისთვის ხელი შეშლას ცდილობდა. სერბეთი ის ქვეყანაა, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებს მხარი არ დაუჭირა. ფაქტობრივად, რუსეთსა და სერბეთს ბევრი საერთო ინტერესი გააჩნიათ.

მე არ ვიცი, სერბეთიდან სოხუმში რა დონის დელეგაცია ჩამოვიდა. სირიის კარტის გათამაშება დე ფაქტო სოხუმის მიმართულებით რუსებისაგან გასაგებია, მაგრამ სერბეთის წარმომადგენლების ჩასვლა საშიშია. თავის დროზე, როცა რუსეთს უნდოდა დე ფაქტო აფხაზეთის აღიარება, მან ეს ტალღა საკმაოდ აქტიურად ააგორა. თუმცა დე ფაქტო აფხაზეთის აღიარების ტალღა რუსეთს ჩაეფუშა. ვენესუელასა და ნაურუს გარდა, არავინ ცნო აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. როგორც ჩანს, ახლა რუსეთი ცდილობს, აღიარების მეორე ტალღა ააგოროს. კატალონიასა და სირიის ქურთისტანში რეფერენდუმები ჩატარდა და რუსეთს სურს, ამ ფონზე მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საკითხი გააცოცხლოს, უნდა, აღიარების მეორე ტალღა დაიწყოს.

– ჩვენ კოსოვო არ გვიღიარებია, თუმცა პატარა გადაცდომა სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა. მგონი, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელს წამოსცდა, შეიძლება ვიფიქროთ აღიარებაზეო, მაგრამ მაშინვე ჩაფარცხეს.

– კოსოვოს აღიარებას მხარს უჭერდა ამერიკა, მაგრამ ჩვენ მაშინ გამოვიჩინეთ კეთილგონიერება და კოსოვოს აღიარებაზე უარი ვთქვით. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა.

– ფაქტია, თავის დროზე, როცა ამერიკა ბომბავდა სერბეთის პოზიციებს კოსოვოელი მუსლიმანების დასახმარებლად, რუსეთს არაფერი გაუკეთებია სერბეთის დასახმარებლად.

– ერთადერთი, ცნობილია პრიმაკოვის დემარში, როცა ამერიკაში გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი შემოატრიალა და ვაშინგტონში არ ჩავიდა. მაშინ რუსეთი იყო ძალიან სუსტი. ელცინი, ფაქტობრივად, ავადმყოფი იყო. ძალაუფლება ხელში ჩაგდებული ჰქონდათ ადგილობრივ ოლიგარქებს. მაშინ რუსეთს კოსოვო ნაკლებად ადარდებდა.

– მახსოვს შემდეგ პუტინი რომ იმუქრებოდა, თუ თქვენ კოსოვოს აღიარებთ, ჩვენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ვაღიარებთო. ეს იყო 2008 წლის დასაწყისში, შემდეგ პუტინი შეხვდა სააკაშვილს და ვერ შეთანხმდნენ.

– დიახ, პუტინმა ეს განაცხადა უსაფრთხოების კონფერენციაზე. მან კარგად გამოიყენა კოსოვოს ფაქტორი, შეეცადა, სააკაშვილი წამოეგო პროვოკაციაზე, რაც სააკაშვილმა ხუთიანზე შეასრულა. რუსეთს ამით მიეცა კარტბლანში ამერიკის გადაწყვეტილებების საპირისპიროდ.

– რა არის ე.წ. სლავური სულისკვეთება, რომელიც სერბეთში უფრო აქტუალური ჩანს, ვიდრე კოსოვოსთან დაკავშირებული პრაგმატული ინტერესები?

– სერბეთში ბალკანური მოსახლეობაა, მართლმადიდებელი სლავები არიან.

– რეალურად რომ ვერ ეხმარებიან?

– 1878 წელს, ოსმალეთთან ომის დროს, რუსეთის მეფის არმიამ გაათავისუფლა ბალკანეთის ქვეყნები თურქული ჩაგვრისაგან. მაშინ შეიქმნა სწორედ სერბეთის სამეფო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.

– ანუ სერბები რუსებთან ვალში არიან და ვერ ეწინააღმდეგებიან.

– მეორე მსოფლიო ომშიც საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს იუგოსლავიის ტერიტორია ნაცისტური გერმანიის ოკუპაციისაგან და შეიქმნა კომუნისტური იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა.

– ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სერბეთის რესპუბლიკის სხვადასხვა წარმომადგენელს შორის კონტაქტები იყო ურთიერთშორის ვიზიტების დონეზე საქართველოსა და სერბეთში. როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რუსეთის გავლენებისთვის ხელის შესაშლელად.

– შეიძლება. როგორც ჩანს, სერბეთი დაინტერესებულია, კოსოვოს აღიარება აღარ გაგრძელდეს, მაგრამ, ამავე დროს, არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, მასთან აქვს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. ამის მიუხედავად, სერბეთი აქტიურად მიდის ევროკავშირის გზაზე. სერბეთმა აიღო საქართველოს მიმართულება, გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი, ხელი მოაწერა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას.

სერბეთსა და საქართველოს ბევრი მნიშვნელოვანი ინტერესი აქვთ. ერთი არის ევროკავშირთან ასოცირებული წევრობა და მეორე – სეპარატისტული რეგიონების არსებობა, საქართველოში – აფხაზეთი და სერბეთში – კოსოვო. ამიტომ ძალიან მიკვირს, რასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სერბეთის დელეგაციის სოხუმში ჩასვლა. მათი ასეთი ქმედება არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. როგორც ჩანს, სერბეთი დავალებულია რუსეთისაგან და პუტინის კრემლი აგრძელებს სერბეთზე გავლენას. სერბეთმა პრინციპული პოზიცია დაიკავა არალეგალური მიგრანტების მიღებაზეც. მას ამასთან დაკავშირებით მკაცრი მიდგომები ჰქონდა.

– თქვენ ყურადღება გაამახვილეთ რუსეთისა და სერბეთის მართლმადიდებლურ ერთობაზე. ჩვენც მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ, მაგრამ რუსეთმა ამას ანგარიში არ გაუწია, პირიქით, სულ ჩვენი ამოგდება უნდა, თავის დროზე ეკლესიები დაგვინგრია და ახლაც გვინგრევს – აფხაზეთში არსებული ეკლესიები გადაათეთრა, ქართულ წარწერებსა და ქართულ კვალს შლის.

– სერბული მართლმადიდებელი ეკლესია უფრო ახლოსაა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ვიდრე ქართული. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია უძველესია. რუსები ჩვენ შემდეგ გაქრისტიანდნენ. ჩვენ იერარქიაში უფრო წინ ვდგავართ. თუმცა, ქართული ეკლესია იყო რეპრესირებული რუსული ეკლესიის მიერ. როცა მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიერთება რუსეთის იმპერიასთან, პირველი, რაც რუსეთის იმპერიამ გააკეთა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო. დაგვინიშნა ეგზარქოსი და ქართული ეკლესია რუსულ ყაიდაზე გადაიყვანა. ეკლესიური დაპირისპირება რუსეთის იმპერიასთან გვქონდა. ისეთი რთული ურთიერთობა, ეკლესიური ომი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და რუსეთს შორის, სერბეთისა და რუსეთის ეკლესიებს შორის არ არსებობს.

სერტიფიცირებულ ექიმებს, შესაძლოა, ხელახალი სერტიფიცირების გავლა მოუწიოთ

– მომავალი წლიდან ქართველ ექიმებს კვალიფიკაციის დასადასტურებლად, შესაძლოა, სერტიფიცირების გავლა მოუწიოთ, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ „ინტერპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ზოიძის ინფორმაციით, კომიტეტი ჯანდაცვის სამინისტროსთან და ექიმთა ასოციაციებთან ერთად მუშაობს დიპლომის შემდგომი გათლების შესახებ კანონპროექტზე და შესაძლოა ის მომავალი წლიდან ძალაში შევიდეს. მისი განცხადებით, სახელმწიფოს მიდგომაა, სამედიცინო შეცდომის პრევენციაზე გააკეთოს აქცენტი და არა იმაზე, რომელი ექიმი დაისაჯოს და სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდეს.

– კომიტეტი მუშაობს პოსტდიპლომირებული განათლების კონცეფციაზე. სამინისტროსთან ერთად ვიხილავთ ამ საკითხს, – აცხადებს ზოიძე.

მისივე თქმით, ის სტატისტიკური მონაცემი, რომ 2017 წელს სამედიცინო რეგულირების სააგენტომ 157 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა, ხოლო 67-ს სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერა, „ჯანდაცვის სისტემის შესაბამისია“.

– თუ არ ვცდები დაახლოებით იგივე მონაცემებია, რაც გასულ წელს იყო. საქართველოსთვის ეს ბევრია თუ ცოტა, ძნელი სათქმელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 35 ათასი სამედიცინო შეცდომა ხდება ყოველწლიურად. გასაგებია, რომ იქ მოსახლეობის რაოდენობა მეტია, მაგრამ სამედიცინო მომსახურების ხარისხიც განუზომლად მაღალია. ჩვენთანაც, ჩემი აზრით, ის სტატისტიკური მონაცემები შესაბამისია იმასთან, რა მასშტაბის ჯანდაცვის სისტემაც გვაქვს და რამდენი ექიმიც გვყავს.

20 ათასამდე ექიმი გვყავს საქართველოში. მოქმედი, აქტიური ექიმი 12 ათასია და აქედან 67-ს შეუჩერდა სერტიფიკატის მოქმედება. ეს საერთო რაოდენობის 1 პროცენტიც არ არის. ჩემი აზრით, უფრო მეტი სამედიცინო შეცდომა ხდება, მაგრამ აქ უკვე ეფექტიანობის სისტემაზეა საუბარი. ყველას ვერ დასჯი, ძირითადად, მაინც სამედიცინო შეცდომის პრევენციაზე უნდა იყოს აქცენტი და არა რეაგირება ამ შეცდომაზე, რომ დავსაჯოთ ექიმი, შევუჩეროთ სერტიფიკატის მოქმედება, დავაყენოთ მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, – აცხადებს ზოიძე.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პრობლემიდან გამოსავალს დიპლომის შემდგომი განათლების კონცეფციის სრულყოფაში ხედავს და აცხადებს, რომ აუცილებელია ექიმის კვალიფიკაციის საკითხი მუდმივად გადამოწმდეს.

– მთავარია, დიპლომის შემდგომი განათლების კონცეფციის სრულყოფა, რაც რამდენიმე წლის წინ გააუქმეს. ბოლოს ის კორუფციის ელემენტი იყო სისტემაში, მაგრამ დღეს არ შეიძლება და არც ერთ ქვეყანაში არ არის მსოფლიოში, რომ ერთხელ მივცეთ ექიმს სერტიფიკატი მთელი ცხოვრებით და შემდგომ არც განათლება დასჭირდეს, არც პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. დღეს არ ხდება მისი პროფესიის გადამოწმება. არადა, ეს არის პირი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება ადამიანის სიცოცხლესთან შეხება.

საკითხის მოგვარება მთელ მსოფლიოში ან თვითრეგულირებით ხდება, ან სახელმწიფოს მეშვეობით. შესაბამისად, ჩვენთვის პრიორიტეტია პოსტდიპლომირებული განათლების და პროფესიული განვითარების სისტემის სრულყოფა. ყოველ 5 წელიწადში იქნება თუ როგორ, ამაზე ასოციაციებთან და სამინისტროსთან ერთად ვიმუშავებთ. მთავარია, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ განათლებული, პროფესიონალი ექიმები გვყავდეს, რომელთა ყველა ჩვევა შესაბამის სიმაღლეზე იქნება და არ მოგვიხდება სანქციების დაკისრება, სასამართლოში წასვლა და მათ შეცდომაზე ასე რეაგირებაზე. ამაზე მუშაობა დაწყებულია და ამ თვეში სამოქმედო გეგმის პრეზენტაციასაც გავაკეთებთ, თუ რაზე ვიმუშავებთ მომავალ წელს.

ჩვენი მიდგომა გულისხმობს გარკვეული ინტერვალით გამოცდების ჩატარებას, პრაქტიკული ან ქულების სისტემის ჩამოყალიბებას. ამის პრაქტიკა მსოფლიოში არის, სადაც ხდება სერტიფიკატის დადასტურება, რომ ექიმის უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია კვლავ შეესაბამება იმ დონეს, რომელიც მას სჭირდება იმისთვის, რომ პაციენტის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდოს.

სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ კანონზე, ძალიან მასშტაბური კანონპროექტი იქნება, სადაც დელიკატური საკითხებიც შევა. 2000-იან წლებში იყო მსგავსი სისტემა, მაგრამ კორუფციის წყაროდ იქცა და იმის ნაცვლად, რომ სისტემა გაესწორებინათ, გააუქმეს.

მომავალ წელს დიდი შანსია, რომ კანონიც გვქონდეს, მაგრამ ამისთვის პარლამენტმაც უნდა დაგვიჭიროს მხარი. ჩვენს სამოქმედო გეგმაში ეს საკითხი უკვე არის, ჯერი პარლამენტზეა, – განაცხადა ზოიძემ.

„თარხან ბათირაშვილი არა 2016 წელს, არამედ რამდენიმე დღის წინ იქნა ლიკვიდირებული“

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, გენერალ-მაიორ იგორ კონაშენკოვის განცხადებით, სირიაში ავიადარტყმის შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ ჩრდილოკავკასიელი საველე კომანდირები იქნენ ლიკვიდირებულნი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერაყში იმალებოდნენ.

მისი თქმით, სირია-ერაყის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ აბუ-ქემალზე მიტანილი იერიშის შედეგად გავლენიანი საველე კომანდირები, როგორებიც არიან აბუ ომარ აშ-შიშანი, ალიადინ აშ-შიშანი და სალახუდინ აშ-შიშანი, იქნენ ლიკვიდირებულნი.

მისი თქმით, ტერორისტების ლიკვიდაცია გაგრძელდება.

თარხან ბათირაშვილის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია პენტაგონმა 2016 წლის მარტში გაავრცელა.

მედიანიუსი

ვინ უნდა ივანიშვილს პრეზიდენტად — ღარიბაშვილი თუ უსუფაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

მომავალ წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. პარტიებში პრეზიდენტობის კანდიდატების შერჩევა უკვე დაწყებულია. განსაკუთრებულ ინტერესს „ქართული ოცნების“ კანდიდატი იწვევს. ყველა თანხმდება, რომ ამ მიმართულებით საბოლოო სიტყვას ბიძინა ივანიშვილი იტყვის.

ეს უკანასკნელი კანდიდატის შერჩევაში მაქსიმალურ სიფრთხილეს გამოიჩენს. 2013 წელს მისმა ნებიერამ – გიორგი მარგველაშვილმა – პირველ რიგში მას გაუცრუა იმედები. ახლა მთელი „ოცნება“ პრეზიდენტის ღანძღვაშია, რომ როგორმე ივანიშვილის ნაიარევ გულს სალბუნად დაედონ.

მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება გიორგი კვირიკაშვილი იყოს. როგორც ამბობენ, ამ პოსტზე საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურაც განიხილება. ეს უკანასკნელი მოქმედი პრემიერის კადრად ითვლება.

ქართული დიპლომატიის მამას ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია. გიორგი კვირიკაშვილმა კი ამ დღეებში ოფიციალურად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ის იქნება.

საპრეზიდენტო მარათონში ჩართვას აპირებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც. მან უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს.

ამ ცნობამ მეოცნებეების ნაწილი დაზაფრა. „ოცნებაში“ ეჭვობენ, რომ ივანიშვილმა, შეესაძლოა, ნასპიკერალს დაუჭიროს მხარი. „ქართული ოცნების“ მამა უსუფაშვილის მიმართ ყოველთვის დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდა.

როდესაც გადაწყდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლებოდა და სხვებთან ერთად რესპუბლიკელებსაც მოუწევდათ წასვლა, ივანიშვილმა პარტიის დატოვების სანაცვლოდ უსუფაშვილს პრემიერობა შესთავაზა.

რესპუბლიკელები უსუფაშვილმა მაინც დატოვა და ეროვნულ ფორუმთან ერთად „შენების

მოძრაობა“ შექმნა.

ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამბობდა, რომ უსუფაშვილი და მისი ახალი პარტია ივანიშვილის პროექტია.

ის ახლაც ასე ფიქრობს, თუმცა ვარაუდობს, რომ მთავარ მეოცნებეს საპრეზიდენტოდ სხვა კანდიდატი ჰყავს შერჩეული.

– დავით უსუფაშვილი და მისი ახალი პარტია არის ივანიშვილის პროექტი. იმ კაცმა ეს პარტია გააკეთა იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ რაღაცნაირად დაბალანსოს. ყოფილი პრემიერი რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა იყვნენ ერთად ეროვნული ფორუმი და უსუფაშვილი. მათ სხვადასხვანაირი ღირებულებები აქვთ.

მათი გაერთიანება ერთი პირობით მოხდა – ფორუმიდან გუბაზ სანიკიძე უნდა წასულიყო, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს კი რესპუბლიკელები უნდა დაეტოვებინა, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი.

მისი თქმით, დავით უსუფაშვილი კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ ქარიზმა აკლია და საპრეზიდენტო კანდიდატი არ არის. ამიტომ მას ფორუმელებთან ერთად სხვა მისიის შესრულება მოუწევს.

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი ანტიეროვნულ რესპუბლიკურ პარტიაში იყო, მის მიმართ ყოველთვის სიმპათიები მქონდა. მართალია, ანტიეროვნული იდეები მასაც აწუხებს, მაგრამ მოწამლული რესპუბლიკელი არასდროს ყოფილა. უსუფაშვილი ადამიანურობას ყოველთვის ინარჩუნებდა.

დალაგებულ ქვეყანაში ის კარგი პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ საქართველოში მას პრეზიდენტად არ აირჩევენ. ამისთვის ქარიზმაა საჭირო, რაც მას არა აქვს. ის თავის პარტიასთან ერთად „ოცნებას“ დაბალანსებს და თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკურ პარტიას ჩაძირავს, – აცხადებს ქართული მარშის წარმომადგენელი.

მისივე ვარაუდით, „შენების მოძრაობამ“ უნდა ჩაძიროს პატრიოტთა ალიანსი და დემოკრატიული მოძრაობაც.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, პროდასავლურმა ძალამ პრორუსულების ფრონტზე როგორ უნდა მოიპოვოს წარმატება, სადღობელაშვილი ასე პასუხობს:

– დავით უსუფაშვილი იმ დოზითვეა პრორუსული, რა დოზითაც პროდასავლურია. საქართველოში არიან პრორუსული ექსპერტები და მედიასაშუალებები. როდესაც მათ „ოცნებასთან“ რაიმე პრობლემა ექმნებოდათ, მოსკოვიდან პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ უსუფაშვილთან მისულიყვნენ. ამის შესახებ ერთ-ერთი ცნობილი გამოცემის რედაქტორმაც მიამბო. მას ხელისუფლებასთან პრობლემები პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ მოუგვარა.

ისიც გაითვალისწინეთ, რომ „შენების მოძრაობაში“ არის ეროვნული ფორუმი. მათ ეროვნული ნიშა ეჭირათ, თუმცა ყოველთვის პრორუსულ ძალად ითვლებოდნენ. ასეთივე ეროვნული ნიშა უკავიათ და პრორუსულები არიან პატრიოტთა ალიანსი და დემოკრატიული მოძრაობა. ივანიშვილის ძალისხმევითა და დახმარებით ამ პარტიების ჩაძირვა პრობლემა არ იქნება.

ლადო სადღობელაშვილის განცხადებით, მთავარ მეოცნებეს პარლამენტის ექსსპიკერი ძალიან ესიმპათიურება, მაგრამ არის ისეთი რაღაც, რის გამოც მას ბოლომდე არ ენდობა.

– სადაც მარგველაშვილი წარადგინა საპრეზიდენტო კანდიდატად, იქ თავისუფლად შეიძლება, დავით უსუფაშვილსაც დაუჭიროს მხარი, მაგრამ ამ უკანასკნელს ისეთი თვისება აქვს, რის გამოც ყოფილი პრემიერის მხარდაჭერას ვერ ეღირსება. მეოცნებეების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, უსუფაშვილი არ არის მორჩილი. ის ხშირად წასულა ივანიშვილის ნების წინააღმდეგ. ყოფილი პრემიერი მას პატივს სცემს, მაგრამ ამ სიჯიუტის გამო მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს, – ასე ფიქრობს ქართული მარშის წარმომადგენელი.

მისი აზრით, სასწორი უფრო ირაკლი ღარიბაშვილის მხარეს გადაიხრება. ამის მთავარ მიზეზად სადღობელაშვილი შემდეგ გარემოებას ასახელებს:

– ღარიბაშვილი უნაკლო არ არის, მაგრამ ის ხალხს უყვარს. როდესაც ის პრემიერი იყო, ნაცები ასე თავისუფლად ვერ პარპაშებდნენ. კვირიკაშვილის პრემიერობისას ქვეყანაში ნაცებსა და ბოკერიას ფლანგს მიჰყავს „პარადი“. ღარიბაშვილი თავისი ინიციატივითა და ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე საკუთარ კანდიდატურას არ წარადგენს.

„ქართული ოცნების“ ლიდერი თუ ამ ახალგაზრდა კაცს დაუჭერს მხარს, არჩევნებზე ხალხისთვის იმის ხვეწნა არ დასჭირდება, ჩვენს კანდიდატს მიეცით ხმაო. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ ღარიბაშვილი იქნება.

ირაკლი სესიაშვილი ისევ სკანდალში გაეხვია — მისი მეუღლე ბიზნესს რუსეთის მოქალაქეებთან ერთად აწარმოებს

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. ირაკლი სესიაშვილი გაუგებრობაში ამჯერადაც ოჯახის წევრის გამო მოხვდა. ინტერნეტგამოცემა რეგინფოს ცნობით, დეპუტატის მეუღლე ბიზნესს რუს პარტნიორებთან ერთად აწარმოებს.

მანამდე სესიაშვილი შვილის, დავითის გამო გაეხვია შარში. ნაციონალებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კომიტეტის თავმჯდომარის შვილი სუს-ში დაასაქმეს. ყოფილი ხელისუფლება იმასაც ამტკიცებდა, რომ ეს ახალგაზრდა ქურდობის მონაწილე იყო.

მაშინ სუს-ში განმარტეს, რომ სესიაშვილი სამსახურში კანონის დაცვით მიიღეს და მის მიერ ჩადენილი რაიმე სახის კანონდარღვევა არ გამოვლენილა.

ეს სკანდალი, ასე თუ ისე, ჩაცხრა, სესიაშვილზე კი მედია და ოპოზიცია რამდენიმე კვირის წინ ისევ ალაპარაკდნენ. დეპუტატს ამჯერად თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონებში უკონკურენტოდ გამარჯვებასა და მიწის ნაკვეთების შეძენაზე მოსდეს შარი.

გავრცელებული ინფორმაციით,

სესიაშვილმა საბურთალოზე, სარეკრეაციო ზონაში მდებარე 2 მიწის ნაკვეთი 30.694 ლარად იყიდა. დეპუტატმა ამ საკითხზე განმარტებები გააკეთა და ეს სკანდალიც ჩაცხრა.

ბოლო სკანდალი ალბათ უფრო რეზონანსული იქნება – თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მეუღლე ბიზნესს რუსებთან ერთად აწარმოებს.

რეგინფოს ცნობით, დეპუტატის მეუღლე თინათინ კიკილაშვილი ბიზნესს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებთან ერთად აწარმოებს. იგი კომპანია „ტერმინალ ლაბ ბერსას“ მეწილეა, სადაც საკონტროლო პაკეტს ბეკხან ალიევი და ირინა კოვალენკო ფლობენ.

როგორც გამოცემა განმარტავს, შპს „ტერმინალ ლაბ ბერსა“ 2015 წლის 7 აპრილს შეიქმნა. კომპანიის კაპიტალის 60%-ის მფლობელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ალი მარაევი იყო, ხოლო 20-20% ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეები დავით მიგრიაული და ჯაბა ჩართოლანი.

– 2017 წლის 11 მაისს დადებული გარიგებების საფუძველზე აღნიშნულმა ბიზნესმენებმა საკუთარი წილები სხვა პირებს 10 ლარის გადახდის საფასურად დაუთმეს. გადანაწილების შედეგად კომპანიის 37% წილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ბეკხან ალიევის საკუთრებაში გადავიდა, 37%-ის მფლობელი ირინა კოვალენკო გახდა, ხოლო 10%-ის – თინათინ კიკილაშვილი. კაპიტალის დანარჩენი 16% დავით მიგრიაულის საკუთრებაში დარჩა, – იუწყება რეგინფო.

გამოცემის ცნობითვე, წესდების თანახმად, „ტერმინალ ლაბ ბერსას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საბაჟო ზონისა და ლაბორატორიის შექმნა, ექსპორტი, იმპორტი, გადაზიდვები და ტერმინალი. კომპანიას ეკუთვნის საბაჟო ტერმინალთან არსებული ლაბორატორია, რომელიც საგზაო ბიტუმის გამოცდას თანამედროვე სტანდარტებით აწარმოებს.

დეპუტატის მეუღლეს, ცხადია, კანონი ბიზნესსაქმიანობას არ უკრძალავს და ამ შემთხვევაში არც ირაკლი სესიაშვილის ცოლი უნდა იყოს გამონაკლისი. აქ უხერხულობას მხოლოდ ის ფაქტი ქმნის, რომ მისი ბიზნესპარტნიორები რუსეთის მოქალაქეები არიან, რუსეთთან კი საქართველოს მეგობრული დამოკიდებულება არ აქვს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სესიაშვილს ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებზე მიუწვდება ხელი – ის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობს, არის ნდობის ჯგუფის წევრი.

პარლამენტის ნდობის ჯგუფს საიდუმლო ინფორმაციებზე მიუწვდება ხელი. ნდობის ჯგუფი აწარმოებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის (მათ შორის, საიდუმლო შესყიდვების) კონტროლს.

სესიაშვილს ნაციონალურმა მოძრაობამ საიდუმლო ინფორმაციის გაცემაც დასდო ბრალად. გასულ წელს თურქეთში მომხდარ ერთ-ერთ ტერაქტში ახმედ ჩატაევი, იგივე ცალხელა ახმადი ფიგურირებდა.

ეს უკანასკნელი 2012 წელს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაიკავეს. არადა, ხელისუფლებამ ის იქ მოლაპარაკებებისთვის მიიყვანა. „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ის ციხიდან გამოუშვეს. ჩატაევი საქართველოდან გაემგზავრა და ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა.

ნაციონალები ამის გამო „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ პრეტენზიებს უყენებდნენ. სესიაშვილმა სწორედ მათ საპასუხოდ განაცხადა, რომ ახმედ ჩატაევი ნაციონალების აგენტი იყო.

ყოფილმა ხელისუფლებამ სესიაშვილი საიდუმლო ინფორმაციის გაჟღერებაში დაადანაშაულა. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ მის წინააღმდეგ პროკურატურაშიც შეიტანა სარჩელი.

სესიაშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ ბოლო ინფორმაციას ოპოზიცია დღეიდან ჩაუჯდება. წინა დღეებში მას თბილისობის გამო არ ეცალა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რუსულ სკანდალში ეხვევა. ალბათ გახსოვთ გივი თარგამაძე. მან თავისი პირით აღიარა, აგვისტოს ომის დროს რუსებს ფული გადავუხადეთ, გორში სტალინის ძეგლი რომ აეფეთქებინათო.

ექსპერტები კავკასიაში გეოპოლიტიკურ ცვლილებებს პროგნოზირებენ

თურქეთი სირიაში ოპერაციას რუსეთთან და ირანთან ერთად ატარებს

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტების აზრით, კავკასიაში გეოპოლიტიკური ვითარება საფუძვლიანად და ელვისებურად იცვლება. ეს განპირობებულია მიმდებარე რეგიონში განვითარებული მოვლენებით. ამ ვითარებამ, შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს აზერბაიჯანსა და სომხეთზე და უარყოფითად – საქართველოზე.

მდგომარეობაზე რეგიონში დიდწილად მოქმედებს ახალი რეალობა. თურქეთი იწყებს ახალ მისიას სირიაში.

იდლიბში რუსეთთან და ირანთან ერთად განსახორციელებელი ოპერაციისთვის თურქეთი გარკვეული ხანია, ემზადება. ამისთვის ანკარამ მზადყოფნაში მოიყვანა ტანკები და სპეცდანიშნულების რაზმები. მისიის ერთ-ერთ მიზნად სახელდება დაკვირვება ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესრულებაზე.

საბოლოო გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიღებულ იქნა რუსეთის პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტისას, 28 სექტემბერს. ამის შემდეგ ერდოღანი ირანში ჩავიდა და პრეზიდენტ რუჰანის მოელაპარაკა.

– თურქეთის ლიდერის მოქმედებების კოორდინაცია რუსეთთან და ირანთან ხდება აშშ-სთან დაძაბულობის გაღრმავების ფონზე, – ასკვნის „ბლუმბერგი“.

გამოცემის შეფასებით, ვითარებას ძაბავს ვაშინგტონის გადაწყვეტილება იარაღით ქურთთა დაჯგუფებების მომარაგების თაობაზე. ეს დაჯგუფებები თურქეთში ტერორისტებად ითვლებიან.

უკიდურესად გართულებულია აშშ-ირანის ურთიერთობებიც. ახალი ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტმა ირანი ჩრდილოეთ კორეის დაფინანსებასა და მასთან ვაჭრობაშიც დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ირანი ახლო აღმოსავლეთში პრობლემებს ქმნის.

ბირთვული შეთანხმების დარღვევაში ტრამპს თეირანისთვის არაერთხელ უსაყვედურია. დონალდ ტრამპი დარწმუნებულია, რომ ირანთან 2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმებები ამერიკის ინტერესებს აზიანებს და ისინი გასაუქმებელია.

მოსალოდნელია, რომ თურქეთის ჯარები ქალაქ იდლიბში რუსეთის არმიის გვერდით განლაგდებიან.

„ბლუმბერგის“ ანალიზის თანახმად, ერდოღანისა და პუტინის მჭიდრო კავშირები აშფოთებთ თურქეთის მოკავშირეებს ნატოში. ეს მოვლენები ასევე ასახავს ანკარის პოლიტიკის შემობრუნებას სირიის ლიდერ ბაშარ ასადისკენ.

თურქეთის ღია მიზნები ასეთია – ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის აღკვეთა, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა და „ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებული ჯგუფების გაკონტროლება.

თურქეთის მისიის წარმატების შემთხვევაში ასადი გააქტიურდება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში ქვეყნის აღმოსავლეთში.

მიმომხილველებს აღელვებთ ის, თუ რა იქნება იდლიბის მისიის შემდეგ.

ნორვეგიელი მიმომხილველების აზრით, ბოლო დროს სირიაში რუსეთის წარმატებები აშკარაა. სამწუხაროდ, რუსეთმა მოახერხა თამაშიდან აშშ-ის გამოყვანა როგორც დიპლომატიური, ისე პოლიტიკური და სამხედრო კუთხით. მოსკოვმა მოიწყო პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთში.

ფრანგული პრესა სინანულით აღნიშნავს, რომ, ვაშინგტონისგან განსხვავებით, პუტინი წარმატებას აღწევს ასევე ირანისა და საუდის არაბეთის ერთმანეთთან დაახლოებაში.

დასავლელი ექსპერტები დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები შეცვლის სიტუაციას კავკასიაში. საქართველოსთვის ჯერჯერობით ამ მხრივ დამაიმედებელი არაფერი იკვეთება.

პარლამენტი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას იწყებს

პარლამენტი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას იწყებს. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს დღეს, 9 ოქტომბერს, საგარეო ურთიერთობათა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, ასევე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და ჯანდაცვის კომიტეტების სხდომაზე განიხილავენ.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის ფორმატში 16 ოქტომბრის ჩათვლით არის დაგეგმილი, რის შემდეგაც მთავარი ფინანსური დოკუმენტი მთავრობას პარლამენტის შენიშვნებითა და რეკომენდაციებით უკან დაუბრუნდება.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის თანახმად, 2017 წელთან შედარებით, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 949 მილიონი ლარით იზრდება და 12 მლრდ 364 მლნ 500 ათასი ლარი იქნება.

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) 12 მლრდ 364 მლნ 500 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10 მილიარდ 911 მილიონ 500 ათას ლარს, გრანტები – 165.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები – 1 მლრდ 288 მლნ ლარს.

პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 9 მლრდ 504 მლნ 545 ათას ლარს მათ შორის, შრომის ანაზღაურებაზე განსაზღვრულია – 1 მლრდ 397 მლნ 524 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 1 მლრდ 188 მლნ ლარი, პროცენტი – 550.0 მლნ ლარი; სუბსიდიები – 437.9 მლნ ლარი; გრანტები – 1 მლრდ 303 მლნ ლარი; სოციალური უზრუნველყოფა – 3 მლრდ 413 მლნ ლარი და სხვა ხარჯები – 1 მლრდ 214 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია 1 მლრდ 433 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია – 636.7 მლნ ლარი.

ვალდებულებების კლება შეადგენს 790.1 მლნ ლარს, საიდანაც 725.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 65.1 მლნ ლარი – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

ამასთან, როგორც 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტშია აღნიშნული, მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2018 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდა 4.5%-ს შეადგენს, ხოლო მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3.5%-ს.

საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი – 3%-ის ფარგლებში.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მიხედვით, 2017 წლის მსგავსად, მომავალ წელსაც ყველაზე მეტ დაფინანსებას ჯანდაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები მიიღებენ.

პარლამენტში წარდგენილი პროექტით, 2018 წლის ბიუჯეტით ყველაზე მეტ დაფინანსებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიიღებს. მისი ბიუჯეტი 2017 წელთან შედარებით, 111.2 მლნ ლარით იზრდება და 3 მლრდ 527 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 28.5%) შეადგენს.

აქედან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის – 2 მლრდ 463 მლნ ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაგეგმილია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური ხარჯების დაფინანსება.

ასევე ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის განსაზღვრულია – 982.8 მლნ ლარამდე, მათ შორის, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის – 704.0 მლნ ლარი; იმუნიზაცია – 22.4 მლნ ლარი; ჩ ჰეპატიტის მართვის პროგრამა – 16.0 მლნ ლარი; ინფექციური დაავადებების მართვა -10.5 მლნ ლარი; ტუბერკულოზის მართვა – 15.6 მლნ ლარამდე; აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა – 10.0 მლნ ლარზე მეტი, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია – 35.0 მლნ ლარი;

ფსიქიკური ჯანმრთელობა – 21.0 მლნ ლარი; დიაბეტის მართვა – 13.0 მლნ ლარი; სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება – 39.0 მლნ

ლარი; სოფლის ექიმი – 26.0 მლნ ლარი; რეფერალური მომსახურება – 22.3 მლნ ლარი; ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა – 10.0

მლნ ლარი და სხვა. ასევე, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის – 25.0 მლნ ლარი.

რაც შეეხება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 2017 წელთან შედარებით, მისი ბიუჯეტი დაახლოებით, 572 მილიონი ლარით იზრდება და 2018 წელს ჯამში გამოყოფილია 1 მილიარდ 830 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია – საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის – 1 მილიარდ 283 მლნ ლარი, მათ შორის, განხორციელდება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია: თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობა და რეკონსტრუქცია (ჩუმათელეთი-არგვეთა) – 250.0 მლნ ლარი; აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) – 80.0 მლნ ლარი; სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-მშენებლობა – 150.0 მლნ ლარი;

ბათუმის ახალი შემოვლითი გზა – 70.0 მლნ ლარი; ჩუმათელეთი-ხარაგაულის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია – 45.0 მლნ ლარი; ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა – 30 მლნ ლარი; ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია – 30.0 მლნ ლარი; აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (აგარა – ზემო ოსიაური) – 20.0 მლნ ლარი; ზემო იმერეთი (საჩხერე) – რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა – 25 მლნ ლარი; სნოჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა – 20.0 მლნ ლარი; სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა – 60.0 მლნ ლარი; მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი – კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა – 53.0 მლნ ლარი; თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა – 25.0 მლნ ლარი; ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია – 25.0 მლნ ლარი; თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა – 25.0 მლნ ლარი; მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა – 10.0 მლნ ლარი.

ამასთან, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 262.0 მლნ ლარი, მათ შორის, მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – 60 მლნ ლარი; მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – 71.0 მლნ ლარი (თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია და ბათუმის ნაპირდაცვის და სანაპირო ზოლის მოწყობა); საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი – 45.0 მლნ ლარი; რეგიონული განვითარების პროექტი (კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) – ჯამში 43.7 მლნ ლარი;

ასევე, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 254.9 მლნ ლარზე მეტი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქუთაისის წყალარინების პროექტის განხორციელება, გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის მოწყობა, ასევე საქართველოს სხვდასხვა რეგიონში წყლისა და წყალარინების, საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ.

პირველადი პროექტის თანახმად, 2017 წელთან შედარებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 62.6 მლნ ლარით იზრდება და 1 მლრდ 178 მლნ 770 ათას ლარს შეადგენს.

პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად განსაზღვრულია – 681.1 მლნ ლარამდე, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება – 598.9 მლნ ლარი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა – 11.9 მლნ ლარამდე; უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა – 12.8 მლნ ლარზე მეტი; მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა – 23.0 მლნ ლარამდე; საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა – 22.1 მლნ ლარი და სხვა.

ასევე პროფესიული განათლების დასაფინანსებლად – 38.0 მლნ ლარამდე; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად – 135.1 მლნ ლარზე მეტი; მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 62.6 მლნ ლარი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 97.2 მლნ ლარზე მეტი; დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიემართება (მათ შორის, ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს – გრანტი) 116.8 მლნ ლარამდე.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის თანახმად, 2017 წელთან შედარებით, მომავალ წელს თავდაცვის, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროებს დაფინანსება უმცირდებათ.

უფრო კონკრეტულად, თუ 2017 წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 748 მილიონი ლარი იყო, 2018 წელს – 702 მილიონი ლარი იქნება.

2017 წელს 370,5 მლნ ლარით დაფინანსებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი დაახლოებით, 116 მლნ ლარით მცირდება და უწყება 2018 წელს 253,8 მლნ ლარს მიიღებს.

დაახლოებით ერთი მილიონი ლარით მცირდება ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი, კერძოდ, თუ 2017 წელს მისი დაფინანსება 132.3 მლნ ლარი იყო, 2018 წელს -131 ლარი იქნება.

ასევე მცირედით მცირდება იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტი. 2017 წელს 62.015 მლნ ლარით დაფინანსებული უწყება, მომავალ წელს 62 მლნ ლარს მიიღებს.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის თანახმად, უცვლელია ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება. 2017 წლის მსგავსად, 2018 წელს აღნიშნული უწყების ბიუჯეტი 82,3 მლნ ლარით განისაზღვრა.

რეგიონული განვითარების მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, ერთ წელიწადში 750.000 ლარის ქონება შეიძინა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძის ოჯახის ქონება 2016 წელს დაახლოებით 750.000 ლარით გაიზარდა.

ზურაბ ალავიძემ და მისმა მეუღლემ 2 ბინა, 2 არასაცხოვრებელი ფართი და 1 ძვირადღირებული ავტომანქანა იყიდეს, ხოლო 1 ბინა საჩუქრად მიიღეს.

ზურაბ ალავიძე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე 2016 წლის 28 ნოემბერს დაინიშნა. მანამდე იგი მთავრობის ადმინისტრაციაში პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი იყო.

მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნამდე რამდენიმე თვით ადრე, ზურაბ ალავიძემ და მისმა მეუღლე ნინო ჟღენტმა ნასყიდობის ფორმით შეიძინეს 195.000 ლარის ღირებულების უძრავი ნივთები: ქალაქ თბილისში, აღ. ყაზბეგის გამზირზე მდებარე 83 კვ.მ საცხოვრებელი ბინა და 2 არასაცხოვრებელი ფართობი, ღირებული 105.000 ლარად; 71,4 კვ.მ ფართობის ბინა დაბა ბაკურიანში, ცეკავშირის მიმდებარედ არსებულ №23 კორპუსში, რაშიც 90.000 ლარი იქნა გადახდილი.

იმავე პერიოდში ზურაბ ალავიძის მეუღლემ შეიძინა ავტომანქანა „ტოიოტა პრადო“, რომლის ღირებულება 64.521 ლარია.

გარდა ამისა, 2016 წლის 25 აპრილს ნინო ჟღენტმა თათია ჟღენტისგან ჩუქების ხელშეკრულებით მიიღო თბილისში, გოგებაშვილის ქუჩის 4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ და მე-2 სართულებზე განთავსებული დუპლექსის ტიპის ბინა, რომლის ფართობიც 271 კვ.მ-ს შეადგენს. დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებით, აღნიშნული ბინის საბაზრო ღირებულება, სავარაუდოდ, 200.000 აშშ დოლარია.

ჩუქების მომენტში აღნიშნული ბინა იპოთეკით იყო დატვირთული, თუმცა ნინო ჟღენტის სახელზე დარეგისტრირებიდან 2 კვირის განმავლობაში ფულადი ვალდებულება მთლიანად შესრულდა და „საქართველოს ბანკთან“ დადებული იპოთეკის ხელშეკრულება შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ არც 2015 და არც 2016 წელს ზურაბ ალავიძეს და მის მეუღლეს ბანკიდან ან კერძო პირებისგან სესხი არ აუღიათ. მინისტრის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მისი ოჯახის წლიური შემოსავალი 2015 წელს 346.309 ლარი, 2016 წელს კი 285 167 ლარი იყო, რაც ჯამში 631.476 ლარია.

ზურაბ ალავიძეს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, 2009-2010 წლებში, ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 2011 წლიდან კი კომპანია „დარიალი ენერჯის“ დირექტორად დაინიშნა. 2012 წლის 30 ივლისს მან ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შემოწირულობის სახით 35.000 ლარი ჩაურიცხა.

რეგინფო.გე

რომან გოცირიძე — „ბიუჯეტის ხარჯვაში ტრადიციული ჩამორჩენაა. რომ არ დახარჯონ, ლარს არაფერი დაემუქრება“

– ბიუჯეტის ხარჯვაში ტრადიციული ჩამორჩენაა. რომ არ დახარჯონ, ლარს არაფერი დაემუქრება.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს.

„ბიზნესპრესნიუსი“ პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ბიუჯეტში ნაშთი 1,18 მილიარდი ლარია. 478 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე წლის დასაწყისში იყო. ეს დაუხარჯავი ფულია. ბიუჯეტის ხარჯვაში ტრადიციული ჩამორჩენაა. რომ არ დახარჯონ, ლარს არაფერი დაემუქრება. მაგრამ როდის მომხდარა, რომ საღი გონებით ემოქმედათ.

ახლა არც ამათი საყვარელი თავის მართლების ძველი ფაქტორი არსებობს (საგარეო) და არც ახლახანს გამოგონილი (მოლოდინები). საფრთხე კვლავ ბიუჯეტშია: ცხრა თვეში დაიხარჯა 8,144 მილიარდი ლარი, დარჩენილ სამ თვეში უნდა დაიხარჯოს 3,271 მილიარდი. უმეტესი ნაწილის ხარჯვა, ტრადიციულად, ნოემბერ-დეკემბერში მოხდება. თუ ჯანდაცვის პროგრამას ვალები დაუგროვდა (რაც მოსალოდნელია), ხარჯები კიდევ უფრო მეტი შეიძლება იყოს.

სამი წელიწადია, ზედიზედ ერთი და იგივე ხდება და მაინც თავისას გაიძახიან, ბიუჯეტი არაფერ შუაშიაო. შუაშია კი არა, თავშია. მე გამიფრთხილებიხართ! თუმცა რა აზრი აქვს. უკვე მერამდენედ!“ – წერს გოცირიძე.

ზურაბ ჭიაბერაშვილი — „მცირე და საშუალო ბიზნესი ხელში გვაკვდება“

მსოფლიო ბანკი ფარდობითი სიღარიბის დათვლის პრინციპს ცვლის. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძესა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს დიმიტრი ხუნდაძესა და ლევან კობერიძეს შეხვდნენ. აკაკი ზოიძის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება მხოლოდ ტექნიკური იქნება, რამაც შესაძლოა საქართველოს სტატისტიკურ მონაცემებში ღარიბ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი გაზარდოს, თუმცა ზოგად სტატისტიკაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მონაცემების გათვალისწინებით, ზრდა მაინც არ იქნება შესამჩნევი, რადგან ცვლილებები მხოლოდ საქართველოს არ შეეხება.

აღნიშნულ თემაზე გადაცემაში „საქმის კურსი“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი საუბრობს.

– ბატონო ზურაბ, აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით უმცირესობა თუ ჩააყენეს საქმის კურსში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა?

– ჯერჯერობით მსოფლიო ბანკთან ჩვენ შეხვედრა არ გვქონია, თუმცა ბუნებრივია შევხვდებით და გავეცნობით აღნიშნულ მეთოდოლოგიურ ცვლილებას. თავისთავად ის ცვლილება რაც დაანონსებულია, ბუნებრივად გამოიწვევს იმას, რომ საქართველოში უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდება ახალი დადგენილი ზღვრის ქვეშ, რომელსაც მსოფლიო ბანკი ადგენს.

– ეს ტექნიკური ცვლილება იქნება, რაც საქართველოში სიღარიბის გაზრდას გამოიწვევს?

– ჩვენთვის ახლა მთავარი სულ სხვა რაღაც არის. მთავარია ახალი მაჩვენებლები, რაც გამოქვეყნდება, შედარებადი იყოს წინა წლებთან მიმართებაში, რათა დავინახოთ, ქვეყანაში სიღარიბე იზრდება თუ მცირდება. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ქვეყანაში ფარდობითი და აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა. არ დავეთანხმები კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ ეს სტატისტიკური ცდომილების ფარგლებშია. იმას, რომ 2016 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყანაში სიღარიბე გაიზარდა, ლოგიკური ახსნა აქვს. ღარის კურსი ასე პირდაპირ შეიძლება მოქალაქის ჯიბეს არ ურტყამდეს, ურტყამს უფრო იმას, ვისაც კრედიტები აქვს და მათ მნიშვნელოვნად ეხებათ. ასეთი კი ნახევარი მილიონი ადამიანია. ლარის კურსი ბიძგი გახდა შემდგომი ფასების ზრდის. ფასების ზრდა კი პრაქტიკულად ყველა ოჯახის ჯიბეს ეხება, რადგან ხარჯი ყველას ეზრდება და რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მით უფრო დაუცველია ასეთი ეკონომიკური რყევების მიმართ. სამწუხარო ის არის, რომ ამას თავისი პოლიტიკური სარჩელი აქვს, რადგან ეს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკაა, რომელსაც მთავრობა ატარებს.

– უფრო საყურადღებო ხომ არ არის თავად ტრენდი, რომელიც 2010 წლიდან მოყოლებული, სულ კლებადი იყო და ტრენდი რომ დაირღვა, ეს ხომ არ არის უფრო მნიშვნელოვანი?

– ბოლო კვლევაში, რაც მსოფლიო ბანკმა სიღარიბეზე გამოაქვეყნა, ძალიან საინტერესო დასკვნა გააკეთა, რომ ბოლო წლებში სიღარიბის კლების ტემპი შემცირდა. სწორედ ამაშია მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ეს ტემპი, რომელიც შედარებით კიდევ უფრო სწრაფი უნდა ყოფილიყო და სიღარიბის ზღვარი კიდევ უფრო ქვემოთ უნდა ჩამოსულიყო, კიდევ უფრო დამუხრუჭდა და 2016 წელს მიმართულებაც კი შეიცვალა. თითქოს პარადოქსია. მსოფლიო ბანკი ზუსტად იმას ამბობს, რომ ტემპი სიღარიბის კლებისა მაგალითად, 2006 წლიდან 2010 წლამდე აღარ არის ისეთი, რაც 2010-დან მოყოლებულია. აქ უნდა ვეძებოთ გასაღები.

2010 წლიდან უკვე ეკონომიკური განვითარების ფაქტორი შემოვიდა სიღარიბის კლებაში, რასაც უფრო მეტი გავლენა აქვს, მაგრამ პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ჩვენი ეკონომიკური განვითარება შეფერხდა. ჩვენ ახლა დაბალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. ასე პროგრესი ვერ გვექნება. ამ დაბალი ეკონომიკური ზრდის გამო, მაგალითად, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ვალების ხარჯზე იზრდება და არა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე.

– თუმცა 2017 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაგეგმილზე მაღალია ჯერჯერობით.

– თუმცა დამეთანხმეთ, რომ 4.5%-იც რომ დარჩეს წლის ბოლომდე, ასეთ ქვეყნად დავრჩებით ათწლეულების განმავლობაში და ვერ დავეწევით ევროკავშირის დღეს ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყანას, მაგალითად, ბულგარეთს. აქ არის მთელი პრობლემა, რომ 4% ან 5%, რაც შეიძლება ძალიან მაგარი იყო გაჯერებული და განვითარებული ეკონომიკისთვის, მაგალითად, გერმანიისთვის ან შეერთებული შტატებისთვის, ჩვენთვის აბსოლუტურად არასაკმარისია და აქ უნდა ვეძებოთ მთავარი გასაღები და ორი გამოსავალი არსებობს – აუცილებელია გადასახადების შემცირება და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბიძგის მიცემა.

თუ ჩვენ 2016 წლის მონაცემებს თუ ავიღებთ 2015 წელთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი დასაქმებაში შემცირებულია და მთლიან გამოშვებაშიც შემცირებულია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელში გვაკვდება. ამ დროს იმისათვის, რომ საშუალო ფენაში გადმოვიდნენ ღარიბები, იმისთვის რომ უფრო დაცულები იყვნენ და პატარა ეკონომიკური რყევაც კი არ იწვევდეს მათ გადავარდნას სიღარიბეში, აქ მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ძალიან მაღალია, მათ შორის დასაქმებაში, ეკონომიკურ ზრდაში. სამწუხაროდ, დღეს „ქართული ოცნების“ არასწორი პოლიტიკის გამო მცირე და საშუალო ბიზნესი კვდება.

ბესიკ კალანდაძესა და კიდევ 4 პირს ქონებას იძულებით ჩამოართმევენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, საქართველოს რკინიგზას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა. სს „საქართველოს რკინიგზა“ ახორციელებს თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 6 სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა, რომელთაგანაც უკვე დასრულებულია 3 გვირაბი. სარკინიგზო მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ გეოგრაფიკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა პროექტის ბუფერულ ზონაში მოყოლილი ქონების შეფასებასთან დაკავშირებით.

მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად, მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება ვერ შედგა პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ბესიკ კალანდაძის, გიორგი კალანდაძის, თამარ კალანდაძის, მაკა ბუიღლიშვილი-კალანდაძის, ციცინო კალანდაძის საკუთრებაში არსებულ 5 უძრავ ნივთთან დაკავშირებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადებები, თანდართული დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაკმაყოფილდეს სს „საქართველოს რკინიგზის“ შუამდგომლობა და მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება.

საწვავის იმპორტი შემცირდა

მიმდინარე წლის პირველი 9 თვის განმავლობაში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა 786,6 ათასი ტონა შეადგინა, რაც 54,3 ათასი ტონით ანუ 6,9%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მონაცემებით, წლის სამი კვარტლის შედეგებით ბენზინის იმპორტი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 12,7 ათასი ტონით ანუ 3,25%-ით და შეადგინა 390,5 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი შემცირდა 41,6 ათასი ტონით ანუ 10,5%-ით 396,1 ათას ტონამდე.

სექტემბერში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 109.5 ათასი ტონა, რაც 8.5 ათასი ტონით აღემატება აგვისტოს თვის მაჩვენებელს. მათ შორის, ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 58.5 ათასი ტონა (მატება 0.6 ათასი ტონით), ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 51.0 (მატება 7,9 ათასი ტონით) ათასი ტონა.

ქვეყნების მიხედვით სექტემბერში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან – 30,5 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 27,9%-ს შეადგენს.

შემდეგ მოდიან:

რუმინეთი – 23,3 ათასი ტონა (21,3%)
აზერბაიჯანი – 21,0 ათასი ტონა (19,2%)
ბულგარეთი – 14,8 ათასი ტონა (13,5%)
თურქმენეთი – 14,0 ათასი ტონა (12,8%)
საბერძნეთი – 5,8 ათასი ტონა (5,3%).

ინგა შონია: „ჩემი შვილი, გიორგი ზღუდაძე, პოლიციამ ცემა“

შსს-მ ხაშურში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონული პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვისა და მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ზღუდაძე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მან თანამზრახველ, 1973 წელს დაბადებულ ა.ღ.-სთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით ხაშურში მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული დ.მ. დაყაჩაღა. ბრალდებულებმა დაზარალებულისგან 400 აშშ დოლარის ოდენობის თანხა წაიღეს.

დაკავებისას გიორგი ზღუდაძემ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. იგი გაქცევას შეეცადა, რომლის დროსაც მან შსს-ს ხაშურის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს თავის არეში დაზიანება მიაყენა. პოლიციელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.

სამართალდამცველებმა გიორგი ზღუდაძის პირადი ჩხრეკისას დაუდგენელი წარმომავლობის ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული საშუალების მსგავსი მცენარეული მასა ამოიღეს.

რაც შეეხება ბრალდებულის სახის არეში არსებულ დაზიანებებს, ფაქტზე დაინიშნება ექსპერტიზა.

ამ ეტაპზე, მეორე ბრალდებული, 1973 წელს დაბადებული ა.ღ. მიმალვაში იმყოფება და მის დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

საქმეზე გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვისა და მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით).

განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს დაკავებულ გიორგი ზღუდაძის დედა.

სააგენტო ნიუპოსტის ცნობით, ინგა შონია ამბობს, რომ ხაშურის პოლიციაში მის შვილს უმოწყალოდ სცემეს. შონიას თქმით, მის შვილს დაჭერით სისტემატიურად ემუქრებოდნენ მას შემდეგ, რაც ის საapელაციო სასამართლომ 4 თვეში გაათავისუფლა, მისჯილი 7 წლის ნაცვლად.

ინგა შონია ამტკიცებს, რომ მის შვილს იარაღი ჩაუდეს და ცრუ ბრალდებით დააკავეს.

თელავში „ევროპული საქართველოს“ ოფისს თავს დაესხნენ

8 ოქტომბერს ევროპული საქართველოს თელავის ოფისს შეიარაღებული პირი დაესხა თავს, რომელიც იქ მყოფი აქტივისტებისგან საქმიანობის შეწყვეტას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა.

– ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც „ევროპული საქართველოს“ წევრებს ემუქრებიან ან თავს ესხმიან, – აცხადებენ „ევროპულ საქართველოში“ და მიაჩნიათ, რომ პოლიტიკურ ოპონენტებზე ფიზიკური თავდასხმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ნაწილია.

ინციდენტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს.

– აღნიშნულ ფაქტზე შსს-ს თელავის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით (მუქარა). ოპერატიულად დადგინდა პირის ვინაობა და მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად სათამაშო იარაღი ამოიღეს. ამ დროისთვის მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, – აცხადებენ შსს-ში.

„ევროპული საქართველოს“ თელავის მერობის კანდიდატ ლელა მენთეშაშვილის განცხადებით, უცნობი პირი პარტიის წევრებს იარაღის გამოყენებით ემუქრებოდა.

– ოფისში იყვნენ გამგებლობის კანდიდატები, როდესაც ოფისის გარედან ხმაურის და ყვირილის ხმა შემოვიდა. გადაიხედეს და დაინახეს, რომ ავტომობილში მჯდარი პირი ყვიროდა. შემდეგ კი აღნიშნული პირი გამგებლობის ერთ-ერთი კანდიდატს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა, – აღნიშნა მენთეშაშვილმა.

ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო და კრიმინალური პოლიცია. დაკითხეს „ევროპული საქართველოს“ წევრები.

ბათუმში ჯუმბერ ზოიძე და ალექსანდრე ხიმშიაშვილი ხიმშიაშვილის ძმამ, რამაზ ხიმშიაშვილმა, დაჭრა

რას ამბობენ თვითმხილველები

ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე, სამშენებლო კომპანიის დამფუძნებლები ჯუმბერ ზოიძე და ალექსანდრე ხიმშიაშვილი, ხიმშიაშვილის ძმამ რამაზ ხიმშიაშვილმა სამშენებლო კომპანია „რეალ-პალასის“ ოფისთან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა.

ამის შესახებ აცხადებენ მოქალაქეები, რომლებიც ინციდენტის ადგილას იმყოფებოდნენ.

თვითმხილველების თქმით, მომხდარი ფაქტი, სავარაუდოდ, ოჯახურ უთანხმოებას უკავშირდება.

დაცვის თანამშრომელი ვანო კუნჭულია იხსენებს, რომ სროლის ხმაზე ტერიტორიიდან გამოსულმა კომპანიის დამფუძნებელი დაჭრილი დაინახა.

– როდესაც ხმა გავიგონე გამოვედი, სასწრაფო დახმარების მანქანა დავინახე, ჩვენი უფროსი, კომპანიის დამფუძნებელი ჯუმბერ ზოიძე გამოჰყავდათ. შემდეგ პოლიციაც მოვიდა. ინციდენტი ოფისთან მოხდა. ამბობენ, რომ რამაზ ხიმშიაშვილმა ძმას და ზოიძეს ესროლა, – ყვება კომპანიაში დასაქმებული.

– სასწრაფომ აქედან ორი ადამიანი წაიყვანა. ამბობდნენ, რომ ძმამ ძმას და კიდევ ერთ ნათესავს ესროლა. რამაზ ხიმშიაშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით ჯუმბერ ზოიძე და ალექსანდრე ხიმშიაშვილი დაჭრა. სხვა დეტალები არ ვიცი, – ამბობს ნოდარ ლამპარაძე.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილები კლინიკაში გადაიყვანა. რეფერალური საავადმყოფოს წარმომადგენელთა განცხადებით, ორივე მათგანს ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

წალკაში პოლიციელმა „საქართველოს ბანკი“ გაძარცვა

6 ოქტომბერს, დილით, წალკაში „საქართველოს ბანკი“ გაძარცვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა. დაკავებულია ერთი პირი.

უწყებაში დაკავებულის და ბანკისთვის მიყენებული ზარალის შესაძლო ოდენობის შესახებ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ აკონკრეტებენ. თუმცა, როგორც imedinews-ს სამინისტროში განუმარტეს, ფაქტზე დაწყებულია გამოძიება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს.

მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს აიპრესიც, რომლის ინფორმაციითაც, მძარცველი დაცვის პოლიციის თანამშრომელი იყო.

ჩხვირკია და ღოღობერიძე პატიმრობაში რჩებიან

სასამართლომ ელისო კილაძის თავდებობა არ გაითვალისწინა

11-12 მარტის აქციის ორგანიზებაში ბრალდებულების მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი 7 ოქტომბერს განახლდა.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით იმსჯელა. პროცესს მხოლოდ ირაკლი ჩხვირკია ესწრებოდა, მერაბ ღოღობერიძე სასამართლო პროცესზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მივიდა, მას რამდენიმე დღის წინ ოპერაცია ჩაუტარდა.

სასამართლო პროცესზე პროკურორები ბრალდებულების პატიმრობაში დარჩენას, დაცვის მხარე კი მათი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

ადვოკატებმა საქმის ახალ გარემოებებზეც ისაუბრეს. მათი თქმით, ახალ გარემოებებს შორისაა ისიც, რომ დაკითხული არიან ძირითადი მოწმეები და მათზე ზეწოლის ალბათობა არ არსებობს. ირაკლი ჩხვირკვია აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვდა, მას ასევე პირადი თავდების სახით, ჟურნალისტი ელისო კილაძე დაუდგა. თუმცა მოსამართლე დავით მამისეიშვილმა ეს გარემოება არ გაითვალისწინა და ბრალდებულები კვლავ პატიმრობაში დატოვა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას დაცვის მხარე პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს.

საზეიმოდ

პატრიარქმა მრევლს მოუწოდა, შესაწირად 3 ცხვარი გაიღონ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მრევლს ლოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს, კერძოდ, ერთი დღე და ღამე ილოცონ და იმარხულონ. პატრიარქის თქმით, მოკლე ხანში მოამზადებენ ლოცვებს, რომლებიც ადამიანს სულიერ კიბეზე ასვლაში დაეხმარება.

გარდა ამისა, როგორც ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, შესაწირი უნდა იყოს სამი ცხვარი, რომელიც გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად გამოიყენება.

– ყოველი ადამიანი მიდის წინ ან უკან. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს ეკლესია მიდის წინ, ქართველი ხალხი მიდის წინ. ეს ზოგიერთს აღიზიანებს. ჩვენ უკან ვერ დავიხევთ, ვერ წავალთ უკან, ძალიან ბევრს ვფიქრობთ იმის შესახებ, რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს იყოს სათნო ღვთისათვის და სასარგებლო ადამიანისთვის. ხშირად მეკითხებიან, ამ 40 წლის განმავლობაში რა გაკეთდა ყველაზე მნიშვნელოვანიო. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი გაკეთდა ის, რომ ჩვენ დავიბრუნეთ უძველესი ტიპიკონი შვიდი ლოცვისა. შვიდი ლოცვა ღვთის დიდი წყალობაა.

შვიდი ლოცვა სასწაულებს ახდენს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განახლდა გვარების დალოცვა. ჩვენ ვლოცავთ გვარებს, მაგრამ ალბათ ეს არ არის საკმარისი. რაღაც უფრო უნდა გაძლიერდეს ლოცვა. ჩვენი ლოცვა არ არის ფანატიკური მოქმედება. ჩვენი ლოცვა უშუალო კავშირია ღმერთთან. ჩვენ ბევრი გვიფიქრია იმის შესახებ, როგორ გავაძლიეროთ ჩვენი გვარები, ჩვენი ოჯახები. ერთმა ჯგუფმა გამოთქვა ასეთი აზრი, რომ კარგი იქნებოდა ერთი დღე და ღამე გვარს ელოცა და ემარხულა. თქვენ გახსოვთ, სახარებაში წერია, რომ ბოროტი ძალა ლოცვითა და მარხვით განიდევნება. შემოვიდა აზრი და მე ძალიან მომწონს ეს, რაც ძნელი არ არის – ერთი დღე და ღამე ადამიანმა ილოცოს და იმარხულოს. იქნება სპეციალური ლოცვები – მადლობის ლოცვები, წმინდა სამების ლოცვები, ჩვენ უნდა დავიწყოთ წმინდა სამებით, ამ წმინდა ტაძრიდან.

დავუშვათ, დღის 12 საათიდან, მეორე დღის 12 საათამდე წაიკითხავენ ლოცვებს. შესაწირავი უნდა იყოს სამი ცხვარი. სამი ცხვარი გამოყენებული იქნება გაჭირვებული ოჯახებისათვის. ვფიქრობ, ეს საოცარ შედეგს მოიტანს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გაძლიერდეს ხალხში სიყვარული და პატივისცემა.

ძველი რომაელები ამბობენ, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო. ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ და ამას ვერ ვიტყვით, ვერ ვიმოქმედებთ ამ კანონით. ადამიანი ადამიანისთვის სიყვარულია, ძმა არის და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს ძმებს დავეხმაროთ, ვინც არ უნდა იყოს. მით უმეტეს, თუ გაჭირვებულია ადამიანი და არის ცოდვაში ჩავარდნილი, მას უნდა დავეხმაროთ. ჩვენ მოვამზადებთ ამ ლოცვებს და მოკლე ხანში დავიწყებთ ამ სულიერ კიბეზე ასვლას. ეს იქნება სულიერი კიბე, რომელიც სასუფეველში მიგვიყვანს, – ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

ინტერპრესნიუსი

სანკტ-პეტერბურგში ომონმა დემონსტრაცია დაარბია

პუტინს დაბადების დღე ოპოზიციამ აქციებით მიულოცა

7 ოქტომბერი ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეა. მოსკოვსა და პეტერბურგში მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართა. მანიფესტანტები რუსეთის ოპოზიციის ლიდერის, ნავალნის, გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

მოსკოვში, მანეჟის მოედანზე, ოპოზიციის 800 მხარდამჭერი შეიკრიბა. მათ ტვერსკოიზე მსვლელობა მოაწყვეს. ოპოზიციონერებს გზა ომონმა გადაუღობა. დემონსტრაცია დაშალეს, მისი ორი მონაწილეკი დააპატიმრეს.

პეტერბურგში გაცილებით დრამატული მოვლენები დატრიალდა. დავიწყოთ იქიდან, რომ პეტერბურგის მანიფესტაცია გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მოსკოვის. საპროტესტო აქციაში 2.000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მანიფესტანტებმა ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს. ისინი სკანდირებდნენ: „თავისუფლება ნავალნის!“, „რუსეთი პუტინის გარეშე“ და ა.შ.

ხელისუფლება დიდად შეაშფოთა იმან, რომ გამვლელები მანიფესტანტებს ტაშით შეხვდნენ. ზოგი მათგანი დემონსტრანტებს შეუერთდა, მანქანების მძღოლები მისალმების ნიშნად უსიგნალებდნენ და ა.შ.

ხელისუფლებამაც დემონსტრანტებს ომონი მიუსია. პეტერბურგის ქუჩებში ნამდვილი ცემა-ტყეპა გაიმართა.

შედეგად დემონსტრაცია დაშალეს. ნაცემია ბევრი მანიფესტანტი, მათ შორის გოგონები, რომლებსაც თავები გაუხეთქეს. ტელეკომპანია „დოჟდმა“ გადასცა, თუ როგორ არბევდნენ დემონსტრაციას.

– მანიფესტანტებს პირდაპირ ავტობუსებში ყრიდნენ, – იტყობინება „დოჟდი“.

შედეგად დაკავებულია აქციის 700-მდე მონაწილე, მათ შორის ჟურნალისტებიც. ომონელებმა მათ სასტიკად სცემეს. „დოჟდის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე, ჟურნალისტებს რას ერჩოდითო, ერთ-ერთმა ომონელმა მიუგო:

– ყველგან ცხვირს ყოფენ და იმიტომ მოხვდათ!

პუტინის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთში პუტინისადმი ოპოზიციური განწყობილებები ძლიერდება. მიუხედავად ამისა, ამან ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწია ისეთ დონეს, რომ ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა აიძულოს. ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი კი თავისი ნებით არ წავა.

– პუტინმა სრული მარცხი განიცადა უკრაინაში, გაიჭედა სირიაში. რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული. ასეთ სიტუაციაში გადადგომა მარცხთან შეგუებას ნიშნავს. პუტინი ამას არ გააკეთებს, – აცხადებს ილარიონოვი.

პუტინის ექსმრჩეველი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი კენჭს კვლავაც იყრის და ხელისუფლებას შეინარჩუნებს. რა მოჰყვება ამას? არჩევნებამდე პუტინი კვლავაც შეეცდება, ამოაყირავოს უკრაინა, შექმნას მოსახლეობაში იმისი ილუზია, რომ რუსეთმა სირიაში გაიმარჯვა და ა.შ. არჩევნების შემდეგ შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება აიძულებს პუტინს, დონბასთან დაკავშირებით რეალურ მოლაპარაკებებზე წავიდეს. მოსალოდნელია კომპრომისები სირიასთანაც, თავად რუსეთის შიგნით კი ცვლილებები გარდაუვალია.

– რასაკვირველია, რუსეთი არ დაიშლება, მაგრამ მმართველობის ამჟამინდელი ფორმა შეიცვლება. ეს აუცილებლად მოხდება, მიუხედავად იმისა, დარჩება თუ არა პუტინი ხელისუფლებაში, – ამბობს ილარიონოვი.

ესპანეთი სეპარატისტების წინააღმდეგ

მადრიდში, ვალენსიაში, ტოლედოსა თუ სხვა ქალაქებში მიტინგები გაიმართა. მოსახლეობა კატალონიის რეფერენდუმს აპროტესტებდა და ესპანეთის ერთიანობისადმი მხარდაჭერას აფიქსირებდა.

– არ გვინდა პოლიტიკოსები, პირდაპირ ვილაპარაკოთ! განა ესპანეთი ყველასთვის ძვირფასი არაა? – აცხადებდნენ გამომსვლელები.

გუშინ, 8 ოქტომბერს, ათასობით ადამიანმა ბარსელონის ცენტრში აქცია გამართა და კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება გააპროტესტა. მათ ესპანეთის ერთიანობას მხარდაჭერა გამოუცხადეს.

მიტინგის ლოზუნგები ასეთი იყო: „საკმარისია! დავუბრუნდეთ საღ აზრს!“, „ესპანეთის ერთიანობას კენჭს არ უყრიან! მას იცავენ!“, „გაუმარჯოს ესპანეთს! გაუმარჯოს კატალონიას!“.

მიტინგის ორგანიზატორი იყო ასოციაცია „კატალონიის სამოქალაქო საზოგადოება“, რომელსაც მხარი კიდევ დაახლოებით 50-მა ორგანიზაციამ დაუჭირა.

– დღეს ჩვენ ბოლოს მოვუღებთ დამოუკიდებლობისთვის მოძრაობას. არცერთ კატალონიელს არ მივატოვებთ. კატალონიელები სხვა ესპანელებთან ერთად განაგრძობენ დიადი ქვეყნის მშენებლობას, – განაცხადა ესპანეთის ჯანდაცვის მინისტრმა დოლორეს მონტსერატმა, რომელიც მარიანო რახოის მთავრობაში ერთადერთი კატალონიელია.

კატალონიის სოციალური პარტიის ორგანიზაციის მდივანმა სალვადორ ილიამ დიალოგისა და კატალონიასა და ესპანეთს შორის ახალი ხელშეკრულების დადებისკენ მოუწოდა.

ბი-ბი-სი-ს ანალიტიკოსების აზრით, სიტუაცია შეიძლება ჩიხში შევიდეს. თუ კატალონია ცალმხრივად დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და ესპანეთი ამას არ ცნობს, მაშინ წარმოიქმნება კონსტიტუციური კრიზისი.

– ალბათობა იმისა, რომ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, მცირეა! როგორც ჩანს, როგორც კატალონიელი სეპარატისტები, ასევე ოფიციალური მადრიდი ტაიმაუტის აღებას აპირებენ, – აცხადებს ბი-ბი-სი.

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.

მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.

მობ. ტელ: 599-73-48-21

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა?!

აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი თვლის, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დიალოგი უაზრობაა.

– ამ ქვეყანას მთელი ოცდახუთი წელია ველოლიავებით. შედეგად რაც მივიღეთ, ვიცით, – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტის აზრით, ჩრდილოეთ კორეის მიმართ პოლიტიკა კარდინალურად უნდა შეიცვალოს.

– დარჩა ერთადერთი საშუალება და დროა, მას მივმართოთ, – თვლის ტრამპი.

პრეზიდენტმა არ დააკონკრეტა, თუ რას გულისხმობდა, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ ერთადერთი საშუალება სამხედრო ოპერაციაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურადსუფთაპროდუქციაოზონატორიარის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

უელსმა ნავსი გაგვიტეხა

საქართველო-უელსი 0:1
თბილისი. დინამო არენა
0:1 ლოურენსი (50)



საქართველო: ლორია, ნავალოვსკი, კვერკველია, კაშია, კაკაბაძე, კანკავა, კვეკვესკირი (ჯიღაური), გვილია (ხოჭოლავა), ყაზაიშვილი, მერებაშვილი, ქვილითაია (სხირტლაძე)

უელსი: ჰენესი, განტერი, უილიამსი, ჩესტერი, დევისი, კინგი, ალენი, ლედლი (ედვარდსი), რემსი, ლოურენსი (ვოდბურნი), ვოკსი (რობსონ-კანუ)

მატჩის წინ ქართველმა ქომაგებმა მშვენიერი ბანერი გამოფინეს, რომელზეც „ქართული ლომი“ „უელსურ დრაკონს“ კბენს. ეს იმედიანი ბანერი იყო – საქართველოს ნაკრებმა მანამდე სტუმრად დაჭრა ვალიელები, მაგრამ ამჯერად სიურპრიზი აღარ შედგა და უელსის ნაკრებმა საქართველოს წინააღმდეგ ნავსი გატეხა – მეხუთე მატჩში პირველად იმარჯვა.

თამაშამდე ორივე გუნდების ჰიმნების შესრულების დროს უელსის ეროვნული ჰიმნი შეწყდა და 2.000-მდე სტუმარმა გულშემატკივარმა მუსიკის გარეშე დაასრულა. ამ ფაქტის გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უელსურ მხარეს ბოდიში მოუხადა.

ვლადიმირ ვაისს შემადგენლობაში იძულებითი ცვლილებების გაკეთება მოუწია. კარს ხანგრძლივი სანაკრებო პაუზის შემდეგ დაბრუნებული გიორგი ლორია იცავდა, მარჯვენა მცველად ოთარ კაკაბაძემ ითამაშა, მარცხენა მცველად – გიორგი ნავალოვსკიმ, დაცვის ცენტრში კვერკველიასა და კაშიას დუეტი იდგა. ანანიძისა და ოქრიაშვილის არყოფნაში ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გიორგი მერებაშვილი მოქმედებდა, მარცხნივ – კი ვაკო ყაზაიშვილი. ცენტრალური მცველების წინ ნიკა კვეკვესკირი მოქმედებდა, კიდევ უფრო ოდნავ წინ – კანკავა და გვილია, ხოლო ეულ ცენტრფორვარდად – გიორგი ქვილითაია.

ანანიძე მაგრად გვაკლდა, მოედნის ჭკუა და კრეატივი, სათამაშო ხარისხი ტაქტიკურად მეტნაკლებად გამართული იყო, მაგრამ ერთფერვნება სუფევდა. ეს უთამაშებლობის ფაქტორითაც აიხსნება. სამივე საყრდენი ნახევარმცველი განიცდის პრაქტიკის არქონას.

პირველი ტაიმში მომენტებს უფრო ხშირად სტუმრები ქმნიდნენ. ხანდახან ბურთი ჩვენც გვეჭირა, მაგრამ ვაისის შეგირდებს უჭირდათ აარონ რემზისა და ტომ ლოურენსის განეიტრალება. ვალიელებს შესვენებამდეც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა: ჯერ რემზი ააცილა ხელსაყრელი სიტუაციიდან და კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, შემდეგ ლედლის დარტყმული ლორიამ მოიგერია. მერე ისევ რემზიმაც ვერ დაარტყა ზუსტად, ააცილა ლოურენსმაც.

ჩვენებიც დაემუქრნენ ჰენესეის კარს – მერებაშვილის ჩაწოდების შემდეგ ქვილითაიამ საჰაერო ბრძოლა მოუგო მოწინააღმდეგეს, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მივიღეთ გოლი ლოურენსმა მოძრაობაში ჩამოიცილა კვირკველია, ხელი ვერც კაშიამ შეუშალა და 0:1.

გატანილი გოლის შემდეგ უელსი უფრო კონტრშეტევებზე ათამაშდა და კიდევ შეექმნათ მომენტები: ისევ ლოურენსსა და რემზის შეეძლოთ გატანა.

უელსი ორგანიზებულად იცავდა თავს, წყნარად, მშვიდად, აუღელვებლად. თუმცა, მაინც გვქონდა 2 მომენტი: ჯერ გიორგი მერებაშვილს აუღო ჰენესმა, სულ ბოლო წუთზე კი კაკაბაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ რატომღაც არ დაარტყა კარში, პასი კი უმისამართო გააკეთა და მატჩიც დამთავრდა.

დინამო დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებულია

ოლიმპი-დინამო 48:67
(20:20, 13:15, 6:21, 9:11)

დუდუ დადიანის ტრადიციული მემორიალის საუკეთესო გუნდი თბილისის დინამოა. ირაკლი ხოშტარიას, მამუკა ტურაშვილისა და მარკო მინიჩის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში 67:48 დაამარცხა ოლიმპი და დადიანის მემორიალის მე-16 გათამაშების გამარჯვებული გახდა.

დინამოელებმა დადიანის თასი შარშანაც მოიგეს და წელს ეს ტიტული დამაჯერებლად შეინარჩუნეს. ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა მძლავრად ჩაატარა ჯგუფური ეტაპი, ხოლო ნახევარფინალში ქუთაისის წინააღმდეგობა დაძლია. რაც შეეხება ოლიმპელებს, უკრაინელი სპეციალისტის ლეონიდ ივატინის, დავით როგავასა და დიმიტრი ჟაკობოვის გაწვრთნილმა გუნდმა ნახევარფინალში ჯგუფის მეორე ადგილიდან გააღწია. ფინალში გასასვლელ მატჩში კი, ოლიმპმა რუსთავს სძლია, რომელთანაც ჯგუფურ ეტაპზე წააგო.

ფინალური მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი გამოდგა. ორივე გუნდი მწყობრად თამაშობდა დაცვაში და ლიდერობას ვერც ერთმა მიაღწია. პირველი პერიოდი ფრედ – 20:20 დასრულდა, მეორეშიც თანაბრობა იყო, რომელიც საბოლოოდ დინამოელთა 2-ქულიანი ლიდერობით დასრულდა – 35:33.

კვანძი მესამე მეოთხედში გაიხსნა, რომელიც დინამოელებმა 21:6 მოიგეს და ლიდერობა განიმტკიცეს. ბოლო პერიოდში ოლიმპი ეცადა, მაგრამ გამართულად მოთამაშე ოპონენტის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. საბოლოოდ დინამომ 67:48 მოიგო და მატჩის შემდეგ დუდუ დადიანის თასი ჩაიბარა.

გამარჯვებულებს 17 ქულითა და 7 მოხსნით ნიკოლა გაჩეშამ ულიდერა. 11 ქულა მიითვალა ილია ლონდარიძემ, ხოლო კაილ ტურპინის ანგარიშზე 10 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. ოლიმპში 18 ქულით ბომბარდირი გახდა რევაზ როგავა, 13 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა მარკ ოგდენმა.

ფინალის დასრულების შემდეგ, სანამ დინამოელებს მთავარ პრიზს გადასცემდნენ, საპატიო სიგელით დაჯილდოვდა ვეტერანი იუბილარი კალათბურთელი იური პულავსკი. ბატონი იური 70 წლის გახდა და მას კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ საპატიო სიგელი გადასცა.

დუდუ დადიანის მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელთა სერბი ფორვარდი ნიკოლა გაჩეშა დასახელდა, რომელსაც სპეციალური პრიზი დუდუს ძმისშვილებმა – ნიტა, სანდრო და ანდრია დადიანებმა გადასცეს.

დუდუს ძმისშვილებმა გადასცეს ტურნირის გამარჯვებულისთვის დაწესებული დადიანის თასი დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს.

რიო 2016-ის ორგანიზატორები დაეპატიმრეს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საგანგებო განცხადება გააკეთა ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, რიო 2016-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, კორუფციაში ეჭვმიტანილ კარლოს ნუზმანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ნუზმანს დაუყოვნებლივ შეუჩერდა სოკ-ის საპატიო წევრობა და ამ სტატუსთან დაკავშირებული ყველა პრივილეგია. ამას გარდა, ის დათხოვნილია 2020 წლის ოლიმპიური თამაშების საკოორდინაციო კომისიის წევრობიდან.

რაც შეეხება უშუალოდ ბრაზილიის ოლიმპიურ კომიტეტს, სოკ-ის განცხადებით, კომიტეტი და მისი პრეზიდენტი კარლოს ნუზმანი პასუხისმგებელნი არიან რიო დე ჟანეიროს კანდიდატურაზე, ამიტომაც კომიტეტის საქმიანობა დროებით შეჩერებულია.

ოლიმპიური ქარტიის 59-ე წესის თანახმად, სოკ-მა გაყინა სუბსიდირება და გადარიცხვები; კომიტეტს არა აქვს უფლება, თავისი წევრობა განახორციელოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საერთაშორისო ასოციაციებში; ბრაზილიელი სპორტსმენების უფლებების დასაცავად, ეს გადაწყვეტილებები არ შეეხება უშუალოდ სპორტსმენებს.

– ამიტომაც, სოკ-ი ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდს დაუშვებს 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე პიონჩანგში, აგრეთვე სხვა შეჯიბრებებში კომიტეტის უფლებების და ვალდებულებების შენარჩუნებით, – ნათქვამია სოკ-ის განცხადებაში.

ბრაზილიელი სპორტსმენები დადგენილი წესის შესაბამისად მიიღებენ ოლიმპიურ სტიპენდიებს.

ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტისთვის დაწესებული სანქციები ნაწილობრივ ან მთლიანად მაშინ გაუქმდება, როცა კომიტეტის საქმიანობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს მოთხოვნებს.

სოკ-ი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მომავალშიც მტკიცედ დაიცავს სპორტის ერთიანობას და ოლიმპიური მოძრაობის რეპუტაციას. სოკ-ი მზად არის ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოებთან და პროცესის მონიტორინგის მიზნით თხოვნით მიმართავს მათ, სოკ-ის ეთიკის კომისიას დროულად მიაწოდონ ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

75 წლის კარლოს ნუზმანთან ერთად ბრაზილიელმა სამართალდამცველებმა ასევე დააპატიმრეს რიო 2016-ის გენერალური დირექტორი ლეონარდო გრინერი. მათ ბრალად ედებათ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის რიოს კანდიდატურის მხარდასაჭერად დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა, სოკ-ის რამდენიმე ყოფილი წევრის მოსყიდვა, კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა და ფულის გათეთრება.

კარლოს ნუზმანი

მოამზადა მანეული ყორეულიანმა

ახალგაზრდული ნაკრების მეორე მარცხი

დანია-საქართველო 5:2

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა 2019 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩი დანიასთან ჩაატარა და 2:5 წააგო. პატარა „ჯვაროსნები“ ზედიზედ მეორე შეხვედრაში დამარცხდნენ და მე-3 ჯგუფში ბოლო ადგილზე არიან.

21-ე წუთისთვის ახალგაზრდა დანიელები უკვე 2:0-ს იგებდნენ. მატჩში ანგარიში მე-7 წუთზე „გენკის“ თავდამსხმელმა მარკუს ინგვარტსენმა მიკელ დუელუნდის გადაცემის შემდეგ გახსნა. მალევე კი დუელუნმაც გამოიჩინა თავი. მარკუსმა 50-ე წუთზე ტაბლოზე 3:0 დააფიქსირა, ხოლო „დორტმუნდის“ ფეხბურთელმა იაკობ ბრუნ ლარსენმა მიკელის კიდევ ერთი შედეგიანი გადაცემის შემდეგ სხვაობა ოთხამდე გაზარდა. შეხვედრის ბოლოსკენ ოლბორგის სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა სამ წუთში სამი სამი გოლი იხილეს. შეცვლაზე შესულმა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ბექა მიქელთაძემ 83-ე და 85-ე წუთებზე დუბლი გაიფორმა, ხოლო რობერტ სკოვმა 84-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

საქართველო: კუპატაძე, მარგველაშვილი, ტაბიძე, ნადარაია, შულაია, ხარაიშვილი, მოხევიშვილი (ბაშელეიშვილი 79), ჩაკვეტაძე, ზარანდია (არველაძე 54), ბერიძე (მიქელთაძე 69), არაბიძე

მომდევნო შეხვედრას გია გეგუჩაძის გუნდი სტუმრად ფარერის კუნძულების ნაკრებთან 10 ოქტომბერს ჩაატარებს.

იუპ ჰაინკესი ბაიერნის გაწვრთნას შეუდგა

რეკორდმაისტერის ხელმძღვანელობის შეთავაზებას ლეგენდარული მწვრთნელი იუპ ჰაინკესი დათანხმდა და სამხრეთელ ვარსკვლავებს მიმდინარე სეზონის ბოლომდე გაწვრთნის.

პეტერ ჰერმანი და ჰერმან გერლანდი იუპს ასისტენტობას გაუწევენ. შეგახსენებთ, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგ პეტერ ჰერმანი მეორე ბუნდესლიგაში ფორტუნას მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო ჰერმან გერლანდს ბაიერნის კამპუსი ჰქონდა ჩაბარებული, თუმცა ორივე ზემოხსენებული სეზონის ბოლომდე იუპ ჰაინკესს გაუწევენ ასისტენტობას.

იუპ ჰაინკესი:

– მსოფლიოს არცერთ კლუბში აღარ დავბრუნდებოდი, თუმცა მიუნხენის ბაიერნი განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ეს კლუბი ჩემს გულთან ძალიან ახლოს დგას. მე და ჩემი სამწვრთნელო გუნდი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გულშემატკივრებს წარმატებული ფეხბურთი დავუბრუნოთ. ამ გამოწვევას მოუთმენლად ველი.

იუპ ჰაინკესი, ჰერმან გერლანდი და პეტერ ჰერმანი ყველას ძალიან კარგად ახსოვს 2013 წლის ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, როდესაც მიუნხენის ბაიერნმა ტრიპლეტი მოიგო. ჰაინკესმა გასული ორწლიანი მუშაობის პერიოდში ორჯერ მოახერხა ბუნდესლიგის ტიტულის მოპოვება და კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია.

შედეგები

7 ოქტომბერი

ფეხბურთი

მრ.2018. მესახრეკი ეტაპი

ევროპა

ბოსნია-ბელგია	3:4
გიბრალტარი-ესტონეთი	0:6
ფარერები-ლიტვა	0:0
შვედეთი-ლუქსემბურგი	8:0
ანდორა-პორტუგალია	0:2
ბელარუსი-ჰოლანდია	1:3
ბულგარეთი-საფრანგეთი	0:1
კვიპროსი-საბერძნეთი	1:2
შვეიცარია-უნგრეთი	5:2

კონკაკაფი

აშშ-პანამა	4:0
მექსიკა-ტრინიდადი	3:1
კოსტა რიკა-ჰონდურასი	1:1

აფრიკა

უგანდა-განა	0:0
ს.აფრიკა-ბურკინა ფასო	3:1
კამერუნი-ალჟირი	2:0
ნიგერია-ზამბია	1:0
გვინეა-ტუნისი	1:4
ლიბის-დრ.კონგო	1:2
კაბო ვერდე-სენეგალი	0:2
მაროკო-გაბონი	3:0

ნასა-ს ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ კარტოფილის მარსზე მოყვანა შესაძლებელია

ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსის სააგენტოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ კარტოფილისა და სხვა საკვების პლანეტა მარსზე მოყვანა რეალურად შესაძლებელია.

ნასა-ს მეცნიერებმა და პერუს საერთაშორისო კარტოფილის ცენტრმა ერთად განახორციელეს ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც შექმნეს მარსის ზედაპირის მსგავსი ექსტრემალური პირობების ნიადაგი. ყველაფერი განხორციელდა რაკეტის გასაშვებ ყუთში, სადაც მარსის იდენტურ ტემპერატურაზე, დღისა და ღამის ციკლზე, აირებსა და ჰაერის წნევაზე ექსპერიმენტის ავტორებმა მიწის განაყოფიერება ცადეს.

ScienceAlert-ის ინფორმაციით, პირველადი შედეგები პოზიტიური გამოდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ კარტოფილის გაზრდა მარსის მსგავს პირობებში შესაძლებელია.

2015 წელს ნასა-მ პერუში შექმნა ლაბორატორია-სათბური, რომელში არსებული ნიადაგისა და ტემპერატურის პირობებიც მარსის გარემოსთან მაქსიმალურად არის მიახლოებული. როგორც მაშინ ნასა-ს სპეციალისტები აცხადებდნენ, კარტოფილის ზრდის პროცესის დაჩქარება ნახშირორჟანგის გაზის დონის მატებით არის შესაძლებელი.

ერთ-ერთი ვერსიით, ექსპერიმენტისკენ ავტორებს ფილმმა „მარსიანელმა“ უბიძგა. ფილმის სიუჟეტის თანახმად, მარსზე მარტო დარჩენილმა ფილმის მთავარმა გმირმა კარტოფილის მოყვანა შეძლო.

ბი-პი-ენი

ბერლუსკონიმ პუტინს დაბადების დღეზე საბნის პირი აჩუქა

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი რუსეთის პრეზიდენტის დაბადების დღეზე სოჭში იმყოფებოდა და მან პუტინს ხელით ნაქსოვი საბნის პირი აჩუქა.

საბნის პირზე წმინდა ბასილისა და კოლიზიუმის ტაძრის ფონზე ორი პოლიტიკოსის ხელის ჩამორთმევის სცენაა გამოსახული.

აიპრესი

ასტროპროგნოზი

9 ოქტომბერი

ვერძი – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **კურო** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ტყუპები** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **კირჩხიბი** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **ლომი** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია. **ქალწული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ღრიანკალი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **მშვილდოსანი** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **თხის რქა** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯონ კენედის საცურაო ტრუსები 5,3 ათას დოლარად გაიყიდა

ნიუ იორკში გამართულ აუქციონზე აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის პირადი ნივთები გაიყიდა. კერძოდ, აუქციონზე გაიყიდა პოლიტიკოსის ორი საცურაო ტრუსი, ერთი – 3,5 ათას დოლარად, ხოლო მეორე 1,8 ათას დოლარად შეიძინეს.

ვაჭრობაზე ასევე გამოტანილი იყო ძრავიანი ნავი, რომელიც კენედის ეკუთვნოდა. ის 75 ათას დოლარად გაიყიდა. ორი სავარძელი, რომლებიც საგანგებოდ პრეზიდენტისთვის ზურგის ტრავმის გათვალისწინებით იყო დამზადებული, 10 და 30 ათას დოლარად გაიყიდა.

ჯონ კენედის მეუღლის ჟაკლინის ლურჯი ფერის საცურაო კოსტიუმში მყიდველმა 1,8 ათასი დოლარი გადაიხადა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 მაისს ჯონ კენედის დაბადების დღიდან100 წელი შესრულდა. ის ორ წელიწადზე ოდნავ მეტ ხანს მეთაურობდა სახელმწიფოს და 1963 წლის 22 ნოემბერს, დალასში ვიზიტის დროს, სასიკვდილოდ დაიჭრა.

ჯიუ-ჯიცუს ოსტატებმა მძარცველი შეაშინეს

ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში უცნობი პირი შეეცადა, საბრძოლო ხელოვნების სკოლა გაეძარცვა. საბოლოოდ კი იძულებული გახდა, გაქცევით ეშველა თავისთვის. აღნიშნული ინციდენტი სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.



ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ახალგაზრდა მამაკაცი შენობაში შედის გოგონა-ადმინისტრატორთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ტურნიკეტს ახტება და სკოლის შენობაში შედის, თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ ის უკანვე გამორბის? მას კი კიმონოში გამოწყობილი ექვსი სპორტსმენი მოსდევს, რომლებიც იმ დროს ჯიუ-ჯიცუში ვარჯიშობდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მძარცველმა ადმინისტრატორ გოგონას მობილური ტელეფონი წაართვა და მოკვლით ემუქრებოდა, გოგონამ კი ყვირილი ატეხა და შველას ითხოვდა.

სამწუხაროდ, სპორტსმენები მძარცველს ვერ დაეწივნენ. ის დანაშაულის ადგილიდან თანამზრახველთან ერთად ველოსიპედით გაიქცა. ასევე მას ჯერ ვერ მიაგნეს პოლიციელებმაც, თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის თქმით, მათ იპოვეს ცალი ფეხსაცმელი, რომელიც მძარცველმა გაქცევის დროს დაკარგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯორჯ მაიკლის ეკონომიკური მრჩეველი მის სახლში წვეულებებს მართავს

2016 წელს გარდაცვლილი მომღერლის ჯორჯ მაიკლის ორმა ფანმა მისი ყოფილი ეკონომიური მრჩეველი ნიუ ფინდლი ვარსკვლავის ერთ-ერთ სახლში ექსკურსიებისა და წვეულებების ორგანიზებაში დაადანაშაულა.

ორმა ფანმა მაიკლისადმი მიძღვნილი მემორიალური გვერდი შექმნა ფეისბუქზე და ნიუ მეგობრებში დაიმატა. თუმცა 2017 წლის 25 ივნისს, მომღერლის დაბადების დღეს, მათ ნახეს ფოტოსურათები, რომელზეც აღბეჭდილია ნიუს მიერ მაიკლის სახლში გამართული წვეულება, სადაც მისი ფანებიც დაპატიჟა.

მაიკლის სამახსოვრო გვერდის ავტორები, მათივე თქმით, ნანახმა შოკში ჩააგდო. ისინი მომღერლის დას მელანი პანაიოტს დაუკავშირდნენ, რომელმაც, თავის მხრივ, დახმარებისთვის ოჯახის იურისტს მიმართა. ამჟამად ადვოკატი მომხდარის გარემოებებს სწავლობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიტყვიერი



1. ნაბიჯი ბალეტში; 2. კარელია-ფინეთის ეპოსი; 3. ... მიცკევიჩი; 4. სპილენძის, ნიკელის და თუთიის შენადნობი; 5. ჭამის სურვილი; 6. შინაური ცხოველი; 7. ... ტაილერი; 8. საფლობი ტალახი; 9. ... ესაკია; 10. ქალთა ქართული ცეკვა; 11. ... კაპონე; 12. თხელი ბადურა ქსოვილი; 13. ერთგვარი პატარა ჩიტი; 14. ჩინელთა ბელადი; 15. ფრანგული საწებლიანი საჭმელი; 16. წონის ერთეული; 17. ცხენების ჯოგი; 18. ფირნიში; 19. ყაზახეთის ფული; 20. ... სტრიპი; 21. პიტ ...; 22. გაოცების გამომხატველი შეძახილი; 23. ქიმიური ელემენტი; 24. იტალიის პრეზიდენტის სასახლე; 25. ტყის მსხალი; 26. იაპონური პოეზიის ჟანრი; 27. მდინარე სამხრეთ კავკასიაში; 28. გერმანელი მწერალი (მე-18 ს.ს); 29. გასეირნება ბავშვის ენაზე; 30. ბერძნული ანბანის ასო; 31. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 32. გრამატიკის ნაწილი; 33. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა; 34. „თეთრი ...“ კ/ფ; 35. კათოლიკური წირვა; 36. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩოჩორი; 2. თოიძე.; 3. „ფრესკო“; 4. სქოლიო; 6. იამაიკა; 9. ტურნე; 11. მუშამბა; 15. სეიდებადი; 16. ოაზისი; 17. ყინწვისი; 19. ოლსტერი; 21. ბაზალტი; 22. ჰამამი.

თარაზულად: 5. კოლორადო; 7. „ალიგოტე“; 8. დომინო; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. ბრუტო; 14. ბონისტიკა; 18. პრადო; 20. ბატიკა; 23. ნასერი; 24. „ზღვა“; 25. პასივი; 26. მუდო; 27. სტაიერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ტოშიბა“; 2. სინაი; 3. სვინგი; 4. კამორა; 6. კოკაინი; 9. თეთრი; 11. ტერტერა; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარა; 17. ხიზილალა; 19. „იომიური“; 21. თემშარა; 22. შუამთა.

თარაზულად: 5. „კოხინორი“; 7. ოკულარი; 8. ამქარი; 10. მექსიკა; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. მოროშკინა; 18. ფეტვი; 20. ჯავარა; 23. დუკერი; 24. მასა; 25. „პირელი“; 26. თული; 27. პროჟექტორი.

განცხადება

2017 წლის 30 ნოემბერს, 12 საათზე, ქ.კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ.კასპი, კოსტავას ქ.№18) გაიმართება შპს „ევროცემენტის“ კასპის მუნიციპალიტეტის სადგურ კავთისხევში დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ.კასპი, სადგური კავთისხევი, კომპანიის ოფისი, ტელ: 595-33-47-63;

ქ.კასპი, კოსტავას ქ.№18, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ტელ: 599-85-73-56.

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი – დავით ბაღდავაძე – 595-33-47-63.

ადმინისტრაცია

განცხადება

საზოგადოების „ხელისუფლებაში რომ ვიყო...“ ბეჭდვით ორგანოში „მოსაზრებანი“ 2017 წლის 2 ოქტომბრის №4-ში გამოქვეყნდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების წინადადება ქართულ და აფხაზურ ენებზე.

(„მოსაზრებანი“, რომელიც დროებით გამოდის თვეში ერთხელ, შეგიძლიათ შეიძინოთ „პლანეტა-ფორტეს“ საგაზეთო ჯიხურებში).

2017 წლის 25 ოქტომბერს, 15:00 საათზე, გალაკტიონ ტაბიძის ქ.№3/5-ში (შესასვლელი ეზოდან, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ოფისი) შედგება წინადადების განხილვა, შემდგომში შედეგების პუბლიკაციით.

საზოგადოების გამგეობა

ვახო ჭუმბურიძე დაქორწინდა

მომღერალ მაკა ზამბახიძის ყოფილი ქმარი, ვახო ჭუმბურიძე, დაქორწინდა.

მისი რჩეული თეო გაბრიელაშვილია, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობს.

ვახომ და თეომ დაქორწინება შემოდგომაზე გადაწყვიტეს და 8 ოქტომბერს უახლოესი ადამიანები თავიანთი ბედნიერების გასაზიარებლად გურამიშვილის მარანში შეკრიბეს.

წყვილის გაბედნიერებას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის შვილი ანა მარგველაშვილიც. სწორედ ანამ გაავრცელა ინტერნეტში ვახოსთან და თეოსთან ერთად გადაღებული ფოტო და მათ ერთად დიდხანს ბედნიერად ცხოვრება უსურვა.

ელდარ შენგელაიას „სავარძელი“ მოსკოვში აჩვენეს

მოსკოვში ელდარ რიაზანოვის კინოკლუბში „ელდარი“ გაიმართა ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის, „სავარძლის“, ჩვენება. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც კოლეგა კინემატოგრაფისტებში, ასევე მაყურებელთა შორის. ფილმის ჩვენების შემდეგ რეჟისორმა მაყურებელთა აღტაცებით სავსე უამრავი წერილი მიიღო.

ელდარ შენგელაიას „სავარძელი“ იაპონიის ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა კინოთეატრმა შეიძინა.

რეჟისორის განმარტებით, „სავარძელი“ სატირული კომედიაა, სადაც მთავარი გმირი მინისტრია. ეს არის თემა სკამი. ადამიანს უყვარს სკამი და არ უყვარს არც ცოლი და არც შვილი, მთავარია მისთვის სკამი.

ელდარ შენგელაიას ფილმში მთავარ როლს ნიკა თავაძე ასრულებს. მასთან ერთად ფილმში მონაწილეობენ ნინელი ჭანკვეტაძე, ნანა შონია, ლევან წულაძე, ნინო გაჩეჩილაძე, თამარი ბზიავა, გია აბესალაშვილი, პაროდისტი მერაბ გეგეჭკორი... ყოფილი დეპუტატი ვიტალი ხაზარაძე კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის როლს თამაშობს.

კანადელმა ლატარიაში 25 მილიონი დოლარი მოიგო

კანადის პროვინცია ონტარიოს მცხოვრებმა ლატარიაში 31,3 მილიონი კანადური დოლარი (25 მილიონი ამერიკული დოლარი) მოიგო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

კანადელის, რომლის ვინაობა არ სახელდება, ლატარიის ბედნიერი ციფრები აღმოჩნდა: 10, 17, 25, 27, 29, 34 და 38. ბონუსნომერი იყო 48.

კანადაში, ლატარიის წესების თანახმად, მოგების მისაღებად გათამაშების ორგანიზატორებს გამარჯვებულმა იღბლიანი ბილეთი უნდა წარუდგინოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიტე კაჭარავა

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გრიგოლ ყიფშიძემ შვეიცარიაში გრანპრი მოიპოვა

„იქს ფაქტორის“ ფინალისტმა, 12 წლის გრიგოლ ყიფშიძემ, შვეიცარიაში გამართულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე გრანპრი მოიპოვა.

გრიგოლმა გამარჯვება 9 ქვეყნის 22 ფინალისტს შორის შეძლო, რომლებიც სამ კატეგორიად იყვნენ დაყოფილი. ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის უმაღლესი ჯილდო საქართველოს წარმომადგენელს მიენიჭა.

გრიგოლ ყიფშიძე საქართველოში დაბრუნებისთანავე კიდევ ერთი კონკურსის დასკვნითი ეტაპისთვის დაიწყებს აქტიურ მზადებას. ის წელს საქართველოს სბბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს. ეს ფესტივალი თბილისში 26 ნოემბერს გაიმართება.

საქართველოს კონკურსანტისთვის სიმღერის შერჩევა დასრულებულია. ხანგრძლივი შერჩევის შემდეგ გრიგოლ ყიფშიძისთვის ჟიურიმ გიგა კუხიანიძის მიერ დაწერილი სიმღერა შეარჩია.

დათო არჩვაძე სოფო ნიჟარაძეს აქებს

მომღერალი დათო არჩვაძე სოფო ნიჟარაძეს აქებს და კოლეგის მიერ გოგი ცაბაძის სიმღერის „ბედის ბორბალი ტრიალებს“ შესრულებულ ჩანაწერს აქვეყნებს.

დათო სოფოს უნიკალურ მუსიკალურ შესაძლებლობებზე ღიად საუბრობს:

– სოფო ნიჟარაძე, ბრავოოო! ჩვენთან, ანსამბლ „უნივერსიტეტთან“ ერთად 7 წლის ასაკშიც ასე საოცრად მღეროდა და ახლაც – „ქართულ ხმებთან“ ერთად. ბევრ დიდ მომღერალს აქვს აღიარებული შენი სიძლიერე ჩემი თანდასწრებით და მათგან გამხარებია კოლეგიურობა, უმცროსი მომღერლის დაფასება და აღიარება და სხვისი სიძლიერით სიამაყე. ამიტომ ნუ დაიღლით ტვინს ერთმანეთის ქილიკით, ჩემო ქართველებო და იხარეთ თქვენი თანამემამულის ნიჭიერებით! ძირს პოლიტიკა ხელოვნებასთან მიმართებით!

ელისო ვირსალაძე პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

პრეზიდენტი თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე ჩავიდა, სადაც დამსწრე საზოგადოებას კულტურის მინისტრთან ერთად სიტყვით მიმართა და ელისო ვირსალაძე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

სასიამოვნო სიურპრიზის შემდეგ დაიწყო ფესტივალის პირველი კონცერტი, რომელზეც მსმენელის წინაშე ახალი თაობის გამორჩეული პიანისტი ლუკაშ ვონდრაჩეკი წარდგა. საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრს არიელ ცუკერმანმა უდირიჟორა. საღამოზე დვორჟაკისა და რახმანინოვის ნაწარმოებები შესრულდა.

ფესტივალის მეორე საკონცერტო დღე თავად ელისო ვირსალაძეს დაეთმო.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში 15 ოქტომბერს საზეიმოდ დაიხურება.

გიორგი ბახუტაშვილი მაყურებელს მნიშვნელოვანი განცხადებით მიმართავს

16 ოქტომბერს ტელეკომპანია იმედზე „ნიჭიერის“ ახალი სეზონი იწყება.

ყოველ ორშაბათს იმედის მაყურებელი საქართველოში მცხოვრებ არაერთ ნიჭიერ ადამიანს გაიცნობს.

შოუს წამყვანები ისევ ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე არიან, ჟიურიში კი პროექტის პროდიუსერებმა გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ რუსთაველის თეატრის მსახიობი რუსკა მაყაშვილი, საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი და მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი მიიწვიეს.

გადაცემის ეთერში გასვლამდე „ნიჭიერის“ ოფიციალურმა გვერდმა გიორგი ბახუტაშვილის განცხადება გაავრცელა, რომლის სრულ ჩანაწერსაც 16 ოქტომბერს ვიხილავთ:

– მინდა, ყველა თანამემამულესა და მთელ მსოფლიოს ვუთხრა, რომ რუსეთი არის ოკუპანტი!

თბილისში რევაზ ლაღიძის ძეგლი დაიდგმება

საქართველოს დედაქალაქში სულ მალე კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ძეგლი დაიდგმება.

რევაზ ლაღიძის, დიმიტრი ყიფიანის, დანტე ალიგიერისა და იაკობ გოგებაშვილის ძეგლების დადგმა.

რევაზ ლაღიძის, დიმიტრი ყიფიანის, დანტე ალიგიერის, იაკობ გოგებაშვილისა და თბილისთან დაძმობილებული ქალაქების სიმბოლიკასთან დაკავშირებული სკულპტურული კომპოზიციების საუკეთესო წინადადებების შესარჩევი კონკურსები ჯერ კიდევ პირველ აგვისტოს გამოცხადდა. წინადადებების მიღების ვადის დასრულების შემდეგ თბილისის მერიაში 20 საკონკურსო წინადადება შევიდა.

ძეგლების ესკიზები უკვე მზად არის და ისინი თბილისის მერიის შენობის XIX სართულზეა გამოფენილი. ესკიზების ნახვა ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეუძლია.

კონკურსის ფარგლებში შექმნილი ესკიზები მერიაში 15 ოქტომბრის ჩათვლით იქნება გამოფენილი. ესკიზების სანახავად მისულ დამთვალიერებელს საკუთარი შთაბეჭდილებების დატოვება სპეციალურად მოსაზრებებისთვის განკუთვნილ წიგნში შეეძლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 9 ოქტომბერი

06.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად " **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩინგო ვეტრინე**" **10.00, 02.15** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 03.15** დღის მხ/ფ "**სპეფფო ქორწილი**" (ფ.ასტერი) **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 05.00** დოკ/ფ "ვულკანი ამოფრქვევის დროა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ"ფილმი. "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.35** ფეხბურთში მსოფლიოს **2018** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი **სერბეთი-საქართველო 00.35** მხ/ფ "**საიდუმლო ფანჯარა**" (ჯ.დეპი)

06.30, 16.00 სერ. "**ბუნილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.25** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **23.00** კონცერტი: მერაბ სეფაშვილი **00.30** მხ/ფ "**ბრუნჟლინელი პოლიციელები**" **02.40** მხ/ფ "**მარადიერები**" **04.40** მხ/ფ "**წლის საუკეთესო მასწავლებელი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

ვირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები: დ. ტრაპაიძე, ი. გრიგოლია, ვ.სანაია. **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**სისფერი სისხლი-3**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-2**" **13.00** სერ. "**ძვლები 9**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: საზღვარგარეთ-2**" **21.00** სერ. "**სპირალი 3**" **22.30** სერ. "**ბორჯია 2**" **00.30** მხ/ფ "**პერლ ჰარბორი**" **03.10** მხ/ფ "**პროექტი X**" **04.30** მხ/ფ "**საზგვაო ცხოვრება**" **06.20** მხ/ფ "**ნოემბრის კაცი**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00** მოდი გავეცაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ულველაფერი ცხოვლების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შინს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** სერ. "**შავი სია**" **01.00** მოდი გავეცაროთ **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 ღვთის სახლი "წმინდა გიორგის მოღნისის ტაძარი" **06.50** პატრიარიკი-ადამიანისგან განწირული მოვდელმთავარი დათვმა გადაარჩინა **06.55** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სპილოს ძვლის ხატი" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-გნუების გადასხმა კროსკენ" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან "აწყურის ღვთისმშობლის ხატი" **10.40** დეკორატიული ფლორა "ყორნვარდა" **10.50** საქართველოს დაცული ტერიტორიები "თუშეთის დაცული ტერიტორია" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **13.20** ან/ფ "**101** დალმატინელი" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული ხმლები" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ კულტი-სიეტლი" **15.50** სპეციტაკელი "**სპანიშვილის დედინაცვალი**" **17.15** დ/ფ "სათაველებთან-ნიკო ნიკოლაძე" **18.10** მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" **18.30** თვენი "ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** შარავანდედი "ელენე ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი" **19.50** საქართველო ევროპულ ოჯახში-"სპორტი და ახალგაზრდობა" **20.40** ძილი ნებისა "გვირილა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატრიარიცხონების წყურვილი ძველ ქრისტიანებში **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** "ინტერვიუ საქართველოს ელჩთან ინდოეთში-არჩილ ძულიაშვილთან" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" VIნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ოლღა გურამიშვილი" **23.45** ღვთის სახლი "უახლესი აღმოჩენა იშხანში" **00.30** ეპოქა და ადამიანები "ჭაბუა ამირეჯიბი" **01.30** მხ/ფ "**ქალის ტვირთი**"

პროგრამები იბეჭდება საააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ოქტომბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.4790
- ევრო — 2.9032
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2401
- 100 რუსული რუბლი — 4.2899

ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისთვის

3 ოქტომბრიდან



იორამ ჩადუნელი
საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

28 სექტემბრიდან



მანანა ხვედელიძე
ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

საფირონის სამკაულს ანჯელინა ჯოლის სახელი მიაკუთვნეს

ბრიტანელმა იუველირმა შექმნა სამკაული მსოფლიოში ყველაზე დიდი საფირონით. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

888-კარატიანი შავი საფირონით დამშვენებულ ყელსაბამს მისმა ავტორმა მსახიობ ანჯელინა ჯოლის პატივსაცემად „ჯოლის ვარსკვლავი“ უწოდა.

მსახიობთან ერთად რობერტ პროკოლი 2011 წლიდან ოფიციალურად მუშაობს საიუველირო სამკაულის კოლექციაზე „Style of Jolie“. მანვე შექმნა ბეჭედი, რომელიც ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის ნიშნობას მიუძღვნა. მის მიერ შექმნილი ერთ-ერთი სამკაული მსახიობს „ოსკარის“ პრემიის გადაცემისას ეკეთა.

ფინეთში ფეხმძიმე მამაკაცი აღმოაჩინეს

ფინეთში ექიმები წააწყდნენ ფეხმძიმე ტრანსსექსუალ მამაკაცს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ის თავიდან ქალი იყო, თუმცა შემდეგ სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთა და 2016 წელს მიიღო მამაკაცის სახელზე გაცემული საბუთი. ამის შემდეგ ტრანსსექსუალმა გადაწყვიტა, სქესის შეცვლის ოპერაციის შემდგომი ჰორმონალური თერაპია შეეწყვიტა და დაფეხმძიმებულიყო.

ფეხმძიმე მამაკაცისა და მისი პარტნიორის თქმით, ორსულობა კარგად მიმდინარეობს. ამავე დროს, წარმოიშვა ნაყოფის იდენტიფიკაციის პრობლემა იმ კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით, რომლითაც ექიმები სარგებლობენ. ისინი ვერ არკვევენ სიტუაციას, რომლის დროსაც ფეხმძიმობა უვითარდება ადამიანს, რომელსაც მამაკაცის საიდენტიფიკაციო ნომერი აქვს. ამის გამო კი წყვილი ბიუროკრატიულ პრობლემებს აწყდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

შვილი დედას ეუბნება:
– მალე სკოლაში მშობელთა კრება იქნება და მინდა გაგაფრთხილო, რომ ჩემზე საინფორმაციო შეტევა მზადდება.

•••

საპირფარეშოში შესული ოსი დააბოყინებს და ამბობს:
– ვაი, სენი წილიმე, უკულმა დავმჯდალვალ!

•••

მგზავრი სახლის პატრონს ეუბნება:
– მატარებელზე მაგვიანდება და შეიძლება შენ ეზოზე გადავივლი გზის შესამოკლებლად, უფრო სწრაფად რომ მივიდე?
– ერთი წუთი, ძაღლს ავუშვებ და უფრო მალე მიხვალ...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ნეტავ სიდედრი სადაური წარმოშობის სიტყვაა?
– ბერძნულია და კიბოს ნიშნავს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– რა საჭიროა, სიგარეტის კოლოფზე ამდენ გაფრთხილებებს რომ აწერენ.
– აბა, რა უნდა ქნან?
– უბრალოდ დააწერონ: „სიგარეტის გაყიდვიდან შემოსული მთელი თანხა მმართველი პარტიის ფონდში გადაირიცხება“.
– მერე, ეგ რას მოიტანს?
– მწეველების ნახევარზე მეტი მოწევას თავს დაანებებს.

•••

რესტორანში ოჯახის სადილობის შემდეგ მამამ ფული გადაიხადა, ხოლო დედა ოფიციანტს ეუბნება:
– ნარჩენებს ძაღლს წავუღებთ!
ამ დროს ბავშვებმა ერთხმად წამოიძახეს:
– ვაშაა, ძაღლი გვეყოლებაა!!!

•••

ორნი დგანან ქუჩაში. ამ დროს ერთი მეორეს ეუბნება:
– ნახე, ბიჭო, ლამარა მოდის!
– მოდი, ერთად დავიყვიროთ, რომ გასიებული სულელია!
– შენი ცოლია და შენ დაიყვირე!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო რა გაჩუქო დაბადების დღეზე?
– წუთიერი დუმილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

5 ოქტომბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ოქტომბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ივანა ტრამპმა ჩეხეთში ელჩად მუშაობაზე უარი თქვა

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ყოფილმა მეუღლე ივანამ ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეეძლო, აშშ-ის ელჩი ყოფილიყო ჩეხეთში, მაგრამ ამ თანამდებობის დაკავებაზე უარი განაცხადა, რათა ამერიკაში საკუთარი „იდეალური ცხოვრება“ შეენარჩუნებინა.

– რატომ უნდა წავსულიყავი იქ და დავმშვიდობებოდი ზამთარს მაიამიში, ზაფხულს სან-ტროპეში, ზამთარსა და შემოდგომას ნიუ იორკში? მე აქ იდეალური ცხოვრება მაქვს, – განაცხადა ივანა ტრამპმა.

ივანა ტრამპი 1949 წელს მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში დაიბადა. ის დონალდ ტრამპის პირველი მეუღლე იყო. ისინი 1977 წელს დაქორწინდნენ და მათი ქორწინება 1992 წლის ჩათვლით გრძელდებოდა.

ვოგის გარეკანი 73 წლის სუპერმოდელმა დაამშვენა

მოდელისა და მსახიობის ლორენ ჰატონის სურათი მის 74 წლის იუბილემდე ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა ჟურნალ ვოგი იტალიას ოქტომბრის ნომრის გარეკანზე. ნომერი ეძღვნება 60 წელს გადაცილებულ ქალბატონებს და ეწოდება „ყველა დროის გამოშვება“.

სუპერმოდელმა ასაკობრივი რეკორდი დაამყარა, რომელიც მანამდე თინა ტერნერს ეკუთვნოდა, რომლის სურათი ჟურნალის გარეკანზე იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც ის 73 წლისა და ოთხი თვის იყო. ეს 2013 წელს მოხდა.

საკუთარ განცხადებაში ლორენ ჰატონმა ჟურნალის გარეკანზე თავისი ფოტოსურათის გამოჩენას „ყველაზე მნიშვნელოვანი“ უწოდა. მანამდე მისი სურათი 27-ჯერ ამშვენებდა ჟურნალის ამერიკული ვერსიისა და 13-ჯერ – მსოფლიოს სხვა ქვეყნების ვერსიის გარეკანს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. ორი ერთიმეორის ზევითა ფრთის მქონე თვითმფრინავი; 3. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 8. წყლის რწყილი; 9. „ვის უხმობს...“; 14. ერთუჯრედიანი ცხოველი; 15. ქეთოს მამა („ქეთო და კოტე“); 17. ფრანგული ავტომარკა; 20. საფრენი აპარატი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ფულის მისაღები თამასუქი; 25. მემამულე თურქეთში; 26. ამოთხრილი ადგილი მიწაში; 27. მეფე „აბესალომ და ეთერიდან“; 28. მწვანე კონტინენტი.

შვეულად: 1. მთავარი საწყობი; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხალხის (ეთნიკური ერთობის) საკმაო ნაწილის ყოფნა სხვა ქვეყანაში; 4. რძის პროდუქტი; 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 7. ჩუქჩების ქოხი; 10. ცხენების ჯოგი; 11. ძველინდური სამწერლო ენა; 12. ერთგვარი კანფეტი; 13. საქონლის შესაფუთი მასალა; 16. უდაბნოს ძაღლი; 18. ძველებური საკრავი (სპილენძის თეფშები); 19. სისხლის შენადედი; 21. პორტი მალაიზიაში; 24. მტაცებელი ფრინველი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ